გილოცავთ ქრისტეშობას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 7 – 8 იანვარი, 2017 №5 (7240) ფასი: 50 თეთრი

თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი მოხსნეს

გვ.4

გიგი უგულავა თავისუფალია

სააკაშვილი თბილისში ჩამოსვლას აპირებს

გვ.2

თბილისის მეროზისთვის უგულავა, კალაძე და მელია იბრძოლებენ

გვ.3

გიგლა ბარამიძე: „ყოფილი მერი ციხიდან საგანგებო დავალებით გამოუშვეს“

საზმაუს გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე გახდა

გვ.4

მამუკა გამყრელიძე: „გიგი უგულავამ პოლიტპატიმრის სტატუსი თავად მოიხსნა“

გვ.2

„ბიძინა მიშას ვერ ერევა“

გვ.3

თინათინ ბოკუჩავა: „ივანიშვილის თამაშს თუ მივიღებთ, ჩვენს თავთან წინააღმდეგობაში მოვალთ“

გვ.6

კახა კალაძე: „არავის მივცემთ ჩვენი მოსახლეობის მოტყუების საშუალებას“

ISSN 1987-9385

გვ.4

„ევროპა ვერ დაივიწყებს იმას, რაც რუსეთმა საქართველოსა და უკრაინაში მოაწყო“

რა ელის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას

მამუკა გამყრელიძე: „გიგი უგულავამ პოლიტპატიმრის სტატუსი თავად მოიხსნა“

ნონა ცაბაძე

ექსპერტი მამუკა გამყრელიძე „ახალ თაობასთან“ ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, რა ხდება ნაციონალურ მოძრაობაში? ნიკა მელიას საკაშვილის გუნდში გადასვლა მაკეინის ვიზიტს უკავშირდება?

– ნიკა მელია რომ დიდი ხანია ცდილობდა, კვლავ დაელაგებინა ურთიერთობები საკაშვილთან, ეს ვიცი.

– გასული წლის ბოლო ინტერვიუში თქვენ ამბობდით, რომ კვლავ ბევრი გადახტება საკაშვილის ნავში. ამას გულისხმობდით? ეს პროცესი დაიწყო?

– მე არ მჯერა ამ გადახტომა-გადმოხტომების, თუმცა ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას. სწორედ ამის გამო აღარ ვეკარები ახლოს პოლიტიკას.

– პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა?

– ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება. მე ზუსტად ვიცი, რომ ნიკა მელია თავიდან გაბრაზებული იყო, მძიმე განცხადებებსაც აკეთებდა, თუმცა მოგვიანებით დაიწყო საკაშვილთან მისასვლელი გზების ძებნა. ის კიევშიც იყო ჩასული. ეს ყველაფერი კი მაკეინამდე ხდებოდა, მაკეინი აქ არაფერ შუაშია. ცოტა გაზვიადებულია მაკეინის ჩამოსვლის შინაარსი. მაკეინის ჩამოსვლის მთავარი აზრი მაინც მიშას მხარდაჭერა იყო უკრაინაში და არა – საქართველოში. საქართველოშიც ჩამოვიდა და გააჟღერა, რომ საჭიროა პოლიტპატიმრების გამოშვება.

გიგი უგულავამ უკვე თქვა, მე კი ამას ვაკეთებდი, მაგრამ ეს იყო შეცდომაო. ეს ერთი სიტყვა – შეცდომა – უკვე ნიშნავს იმას, რომ რეალურად ის საკუთარი ნებით იხსნის პოლიტპატიმრის სტატუსს და უკვე ჩვეულებრივ პატიმრად იქცევა. არ გამიგოთ ისე, რომ მე მის განსჯას ვაპირებ. მეორე საკითხია, რამდენად შეძლებს ის პოლიტიკაში დაბრუნებას.

– როგორ ფიქრობთ, შეძლებს?

– უგულავა დღეს ბოკერიას გუნდის წევრია. შეძლებს თუ არა პოლიტიკაში დაბრუნებას, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მისცემენ მას ამის საშუალებას ამომრჩევლები. თუ იტყვიან, რომ არა უშავს, ხან აქეთ გადახვალ და ხან იქით, ხან აღიარა და ხან არ აღიარა და მაინც მიიღებენ, მაშინ ის დაბრუნდება. პოლიტიკოსისთვის პრინციპულობა ზედმეტი ფუფუნებაა!

– უგულავამ ვერ გამოიჩინა პრინციპულობა?

– პრინციპული იყო ნელსონ მანდელა და იმიტომ არის ნელსონ მანდელა. პრინციპული იყო განდი და იმიტომ არის განდი! ნუ მოვთხოვთ უგულავას მეტისმეტს. თუ დაუდგება ამომრჩეველი გვერდში, ის შეძლებს პოლიტიკაში დაბრუნებას. ის ნაწილი, რომელიც ბოკერიას მხარესაა, ამ ყველაფერს აპატიებს. მეორე ნაწილი, გიგი უგულავას სულ რომ ვენები გადაეხსნა, მაინც არ აპატიებდა და მაინც იტყოდა, რომ გიგი ცუდია, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ის ბოკერიას გუნდშია.

– ალბათ, 20 იანვრის ყრილობაც გადაწყვეტს ბევრ საკითხს.

– არაფერს არ გადაწყვეტს ყრილობა. ეს ყრილობა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება პარტიისთვის, მაგრამ ეს დაპირისპირების თემა არ დამთავრდება. მთავარი ის კი არ არის, რომ რაღაცა განახლება მოხდეს პარტიაში. აქ ბრძოლა მიმდინარეობს მიხეილ საკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის! ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა! შეხედეთ, რა გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა!

– რა გააკეთა?

– მთლიანად ჩაიგდო ხელში პოლიტიკური ველი! როგორც თვითონ ამბობდა, გაკრიფა პოლიტიკური ველი. დარჩა ცალ მხარეს თვითონ, ხოლო მეორე მხარეს ოპოზიცია რეალურად აღარ არსებობს. ინაშვილის პარტიას მე ოპოზიციად არ ვთვლი, მის მიერ მართული ოპოზიციაა. დანარჩენებს კი, პროდასავლურები იქნებიან თუ სხვა, საერთოდ პულსი არ ესინჯებათ, არც რესპუბლიკელებს, არც ალასანიას.

– უსუფაშვილი პოლიტიკურ ველზე ომახიანად გამოჩენას აპირებს.

– ისიც მართული იქნება, ხელოვნურად შექმნილი! ადამიანი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ბიძინა ივანიშვილთან და კარგით, რა, ეს სისულელეა, ვინ ჭამს მაგას! რეალური ოპოზიცია მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა და მას არ სცხელა ახლა ოპოზიციონერობისთვის.

– რატომ, თავად აქვთ პრობლემები?

– დიახ, შიგნით სერიოზული პრობლემები აქვთ. შიგნით ბრძოლა კიდევ ვის მიერ არის ინსპირირებული, ესეც ძალიან სერიოზული საკითხია! ეს არის ბრძოლა, უბრალოდ, ლიდერებს შორის თუ ინსპირირებულია?!

– ამით ივანიშვილისკენ მიანიშნებთ?

– დააკვირდით მოვლენებს. ჯერ იყო და მოხდა ჯაფარიძის გასვლა, მერე – ვაშაძის. ვიღაც კი ამის ინსპირირებას აკეთებს. თუ ვიღაც ზურგს არ გიმაგრებს, ისე ადამიანი მოძრაობას არ იწყებს და ბრძოლაში არ შედის. როგორც ჩანს, ისაუბრეს იმაზე, რომ მიშა აქ ველარ ჩამოვა, მიშა, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრებულია და დროა, გამოჩნდეს ისეთი ლიდერი, რომელიც ნაკლებად რადიკალურია და ოპოზიციონერობის მშვიდ რეჟიმში იქნება. ვხედავთ, რომ სხედან ნაციონალები პარლამენტში, მაგრამ რას აკეთებენ?!

– ამინდს ვერ ქმნიან?

– ვერა. მეორე მხრივ, ეს ქმნის ანტურაჟს ბიძინა ივანიშვილისთვის, რომ მას ჰყავს ოპოზიცია ინაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის სახით. ადამიანს უნდოდა ასეთი ფსევდოდემოკრატიის შექმნა, მაგრამ არ გამოსდის.

– რა უშლის ხელს?

– იმიტომ, რომ ვერ ერევა მიშას! უბრალოდ, ვერ ერევა. მიშას ჰყავს ძალიან ძლიერი მხარდამჭერები. ეს ნახევარი მილიონი კაცია!

– ნაციონალებში მომხდარი განხეთქილება, დაშლის პროცესი, ივანიშვილთან გარიგების შედეგია?

– ძნელია, ასე ღიად ეს ვინმეს დააბრალო, რომ მოხდა გარკვეული გარიგება მას და ივანიშვილს შორის, თუმცა აქ არის ძალიან მარტივი რაღაცა, აქ მოხდა ინტერესების თანხვედრა. ნაცმოძრაობის ზოგიერთი ლიდერის ინტერესი, რომელმაც მიშას ჩამოშორება გადაწყვიტა, დაემთხვა ბიძინა ივანიშვილის ინტერესს.

– რა იქნება ყრილობის შემდეგ?

ერთი ფრთა აცხადებს, რომ არ იქნება ყრილობა ლეგიტიმური, მეორე ნაწილი აცხადებს, რომ იქნება.

– ყრილობის შემდეგ არ ვიცი, რა იქნება. დაპირისპირება კვლავაც გაგრძელდება. მნიშვნელოვანია, გიგი უგულავა ციხიდან გამოსვლის შემდეგ როგორ პოზიციას დაიჭერს, გაჰყვება თუ არა მას ხალხის ნაწილი. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, წავა თუ არა სასამართლოში ბოკერიას ფრთა. აი, მაშინ ღიად ვიტყვი, რომ სახეზე გვაქვს გარიგება! როდესაც შენ ამ სასამართლოს წლების განმავლობაში ეძახი ბიძინა ივანიშვილის მიერ მართულ სასამართლოს და მის პირად სასამართლოს, იმ სასამართლოში წასვლა და ჩივილი იმას ნიშნავს, რომ გარიგებაში ხარ ბიძინა ივანიშვილთან. აი, ასეა, სამწუხაროდ!

– რას ნიშნავს გიგი უგულავას გამოშვება?

– იქ მარტო უგულავა არ არის. იქ არის კიდევ ვანო მერაბიშვილი და იქ არის ბაჩო ახალაია! თუ უშვებენ, მაშინ გამოუშვან სამივე! კი, ძალიან რთულია, გიგის უთხრა, რომ შენ არ უნდა გამოხვიდე, იმიტომ, რომ სხვებს არ უშვებენ, მაგრამ არის მაგრამ. თუ ერთიანობა არსებობს, ერთიანობა უნდა იყოს. როდესაც არ უშვებენ მერაბიშვილს და ახალაიას გამოშვებაზე საერთოდ ლაპარაკიც არ არის, ეს უკიდურესად დიდ ეჭვს იწვევს! მერაბიშვილის გამოშვება საშიშია ივანიშვილისთვის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ივანიშვილთან სწორედ მას ჰქონდა კომუნიკაცია ნაციონალების თაობაზე ხელისუფლების გადაბარების პროცესში. იქ რა საუბრები იყო და ვანო გარეთ რომ გამოვა, რას იტყვის, ეს კაცმა არ იცის. ამიტომ საფრთხეს წარმოადგენს. ბაჩო ახალაია კი კატეგორიულად მიშას ფრთაში მოიაზრება, ვანოსგან განსხვავებით.

– ვანო ნეიტრალურია?

– ვანო გიგა ბოკერიას მხარეს არის, როგორც მე ვიცი. კი არის ჯერ-ჯერობით ჩუმად, მაგრამ ნეიტრალური ნამდვილად არ არის.

გიგი უგულავა თავისუფალია

სააკაშვილი თბილისში ჩამოსვლას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა თავისუფალია. მან საპატიმრო 6 იანვარს დატოვა. ნაციონალურ მოძრაობაში ამბობენ, რომ ამით პოლიტპატიმრების გამოშვების პროცესი დაიწყება, პარტიის მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ამ გადაწყვეტილების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და ეს ყველაფერი 20 იანვრის ყრილობას უკავშირდება.

არგუმენტის გასამყარებლად მათ ნოემბრის თვეში ციხიდან გიგი უგულავას მიერ გამოგზავნილი წერილი მოჰყავთ. მაშინ უგულავამ მოიწერა, რომ პარტიამ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. ამ წერილის შემდეგ პარტია უკვე ღიად გაიყო ორად.

ორად გაყოფილი ნაციონალები უგულავას მატროსოვის ციხესთან დახვდნენ. უგულავა სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია და იმედს გამოთქვამს, რომ ციხეს სხვა პოლიტპატიმრებიც დატოვებენ.

– მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო ყველა ჩვენს პოლიტპატიმარს, რომელიც ამ ციხეში და სხვა საპატიმროებში იმყოფებიან. ჩვენ არ უნდა დავყოთ ერთმანეთისგან ჩვენი პარტიის პოლიტიკური პატიმარი, სხვისი პარტიის პოლიტპატიმარი, – განაცხადა მან.

გიგი უგულავას აზრით, დღეს საქართველოში გვყავს პოლიტპატიმრები.

– თუ ჩემი გათავისუფლება ამ პროცესის დასაწყისია, ძალიან კარგი, მაგრამ სამუშაო არის ძალიან ბევრი. სანამ ჩვენს ქვეყანას ეყოლება პოლიტპატიმრები, მანამდე ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა იქნება ძალიან მწვავე, იქნება ძალიან მწვავე დაპირისპირება. თუ გვინდა მოგვარდეს პრობლემები, ამისთვის აუცილებელი და პირველი ნაბიჯი არის პოლიტპატიმრების გათავისუფლება, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

მისი თქმით, ეს ყველაზე ადვილად შეუძლია მთავრობას და უმრავლესობას, თუ ის გადადგამს ვაჟკაცურ ნაბიჯს და გამოაცხადებს პოლიტიკურ ამნისტიას, რაც

მას მხოლოდ ღირსებას შეძენს, მაგრამ თუ ამას ვერ ან არ ახერხებს მთავრობა, ეს უნდა გააკეთოს საქართველოს პრეზიდენტმა.

– მისი საკონსტიტუციო მოვალეობა არის ის, რომ მან გააკეთოს ის და შეავსოს ის ნაკლოვანებები, რომლებსაც ტოვებს მთავრობა, ხელისუფლება, თუ ნებისმიერი შტო საქართველოში. დადგა ის დრო, როდესაც სამართლიანობაზე მნიშვნელოვანი არის მოწყალება, – განაცხადა თავისუფლებაზე გამოსულმა უგულავამ.

სხვა პატიმრების გათავისუფლებას პროგნოზირებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი სერგი კაპანაძეც. მისი თქმით, ამ მიმართულებით ბრძოლას აზრი აქვს.

– ის, რომ გიგი უგულავა გათავისუფლდა, არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბატონი ივანიშვილის პირადი პატიმარი გამოვა დღეს გარეთ, ეს ნიშნავს, რომ აზრი აქვს ყოველთვის მუშაობას, მიუხედავად იმისა, როგორი სიტუაციაა შექმნილი, მიუხედავად იმისა, რა კონტროლი აქვს ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“. დარწმუნებული ვარ, ამას მოჰყვება სხვა პოლიტიკური პატიმრების გამოშვებაც, – აღნიშნა სერგი კაპანაძემ.

მის მოსაზრებას იზიარებს დეპუტატი და ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი. მისი თქმით, ხელისუფლება დათმობაზე საერთაშორისო ზეწოლის შედეგად წავიდა.

– ვულოცავ გიგი უგულავას გათავისუფლებას. ის დიდი ხნის განმავლობაში იყო ივანიშვილის პირადი პატიმარი. ივანიშვილის პირადი სხვა პატიმრები რჩებიან პატიმრობაში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სხვებმაც მალე დატოვონ საპატიმრო, რადგან ისინი არიან უკანონო, პოლიტიკური პატიმრები და ამას ადასტურებს ევროპარლამენტარების დღევანდელი განცხადება, რომელიც ეხმაურება საქართველოში მიმდინარე გახმაურებულ პროცესებს.

არანაირი ილუზია, რომ საქართველოში სასამართლო თავისუფალია, არ გვაქვს, მაგრამ დღევანდელი გადაწყვეტილება არის საერთაშორისო და ადგილზე პოლიტიკური ზეწოლის შედეგი, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, უგულავა აუცილებლად ისაუბრებს ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებსა და

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თინათინ ბოკუჩავა: „ივანიშვილის თამაშს თუ მივიღებთ, ჩვენს თავთან წინააღმდეგობაში მოვალთ“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი თინათინ ბოკუჩავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ქალბატონო თინათინ, თქვენ აცხადებთ, რომ 20 იანვარს პარტიის ყრილობაზე პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობის განსაზღვრის საკითხიც დადგება დღის წესრიგში. ახალი შემადგენლობის არჩევის საჭიროება დადგა?

– ყრილობა არის პარტიაში ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. შესაბამისად, სწორედ ყრილობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, მათ შორის იმასთან დაკავშირებით თუ ვინ უხელმძღვანელებს პარტიას.

პოლიტიკური საბჭო ყრილობიდან ყრილობამდე არის უფლებამოსილი, რომ პარტიას უხელმძღვანელოს. ისევე, როგორც სამდივნო, აღმასრულებელი მდივანი. ამიტომაც არის მოწვეული 20 იანვარს 7 ათასკაციანი ყრილობა, განსხვავებით 2 ათასკაციანი ყრილობისგან.

პარტიის წევრთა მაქსიმალური ჩართულობით, მათ შორის თბილისის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავად უნდა განსაზღვრონ, თუ ვინ იქნება პარტიის ხელმძღვანელი და ასევე, როგორი იქნება პარტიის სამომავლო სტრატეგია, თუ როგორ ვებრძოლოთ ივანიშვილის რეჟიმს.

– საბოლოო დღის წესრიგი თუ არის განსაზღვრული. კიდევ რა საკითხები განიხილება?

– არა, საბოლოო დღის წესრიგი ჯერ არ არის განსაზღვრული. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრეც არის შესაძლებელი. ნებისმიერ წევრს აქვს შესაძლებლობა, რომ მისთვის აქტუალური საკითხი იყოს წამოწეული ყრილობაზე და განხილვის საგანი გახდეს.

– გასაგებია, რომ პარტიის თავმჯდომარის საკითხი იქნება მთავარი საკითხი, მაგრამ, მაგალითად, აღმასრულებელი მდივნის საკითხი თუ დადგება? სერგო რატიანი ამ ყრილობის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს.

– აღმასრულებელი მდივანი პარტიის ყოველდღიურ მუშაობას უძღვება. ის ასევე არის პოლიტიკური საბჭოს წევრი და რადგან უკვე მოგახსენეთ, რომ ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკურ საბჭოსთან დაკავშირებით, შესაბამისად, ასევე ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას აღმასრულებელ მდივანთან დაკავშირებითაც.

რაც შეეხება თავმჯდომარის საკითხს, ჩემი პირადი პოზიციაა, რომ ამ პოსტზე მსჯელობისას არ უნდა შევეგუოთ ივანიშვილის მკაცრ წესებს და იმ რეალობას, რომლის წინაშეც ივანიშვილმა დაგვაყენა. პირიქით, ჩვენი ამოცანაა, ივანიშვილის რეჟიმი დავამარცხოთ და არსებული რეალობა შევცვალოთ.

მიხეილ სააკაშვილის დევნილობა, ვანო მერაბიშვილის პატიმრობა, გიგი უგულავას პატიმრობა, რომელთაც პარტიაში პოლიტიკური თანამდებობა აქვთ, სწორედ ივანიშვილის მიერ შექმნილი რეალობაა. ამ ადამიანების მარგინალიზებით პარტია ივანიშვილის თამაშის წესებს იღებდა. ეს არის ფუნდამენტურად მიუღებელი და ეწინააღმდეგება იმ ღირებულებებს, რაზეც პარტია დგას. ჩვენი ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა და პარტიის აბსოლუტური უმრავლესობა ეწინააღმდეგება ამას. თუ ივანიშვილის თამაშს მივიღებთ, მაშინ ჩვენს თავთან წინააღმდეგობაში მოვალთ.

– ივანიშვილის თამაშს აჰყვა მეორე ფრთა? მთელი ამ ხნის მანძილზე არაერთი ურთიერთბრალდება მოვისმინეთ.

– ურთიერთბრალდებების კამპანია, ჩემდა სამწუხაროდ, ნამდვილად მიმდინარეობს. მე პირადად არ მივიღებ მონაწილეობას ურთიერთბრალდებების კამპანიაში. ივანიშვილის მთავარი სამიზნე არის მიხეილ სააკაშვილი. შესაბამისად, თუ გარკვეული გუნდი ნებსით თუ უნებლიეთ ცდილობდა მიხეილ სააკაშვილის ჩამოშორებას პარტიისგან, მით უფრო მაშინ, როდესაც ის უკრაინაში ოპოზიციაში გადავიდა, ამ ადამიანებსა და ივანიშვილს ერთი და იგივე მიზანი აქვთ. ამის იქით ჩემს თავს არ მივცემ უფლებას, რომ ვისაუბრო, რადგან ეს ადამიანები ჩემთვის ნამდვილად ძვირფასნი არიან.

– თუ ეს ადამიანები ყრილობაზე არ მივლენ, როგორ განვითარდება მოვლენები? ასევე საინტერესოა, პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას თუ ეყოლება ფრაქცია? თუ იყო ამ საკითხზე კონსულტაციები?

– ეს ყველაფერი თავისით დალაგდება, მას შემდეგ, რაც ყრილობა ჩატარდება და ყველაფერი ცხადი გახდება. ახლა ჩვენი მიზანი არის, რაც

შეიძლება მაღალი სტანდარტით ჩატარდეს მრავალათასიანი ყრილობა. თუ ვიწროპარტიული ჯგუფი არ მიიღებს ყრილობაში მონაწილეობას, ეს მათი გადაწყვეტილება იქნება. თუ სურთ პარტიის ცხოვრებაში მონაწილეობის გაგრძელება, არავინ არავის ხელს არ ჰკრავს.

რაც შეეხება ფრაქციას, უახლოეს დღეებში მოხდება პოზიციების დაფიქსირება. არ ვფიქრობ, რომ ნაციონალურ მოძრაობას პრობლემა ექნება. ეყოლება თუ არა პარლამენტში ფრაქცია. ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც ერთგულნი დარჩებიან იმ ღირებულებების, რომლებზეც მუდამ იდგა ჩვენი მოძრაობა.

თბილისის მეროობისთვის უგულავა, კალაძე და მელია იბრძოლებენ

გიგლა ბარამიძე: „ყოფილი მერი ციხიდან საგანგებო დავალებით გამოუშვეს“

შორენა მარსაგიშვილი

რა მისია დააკისრა „ქართულმა ოცნებამ“ უგულავას, ვისკენ გადაიხარა ნიკა მელია, რას გეგმავს ოქრუაშვილი? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– რამდენიმე დღის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ ნაციონალების ერთი ფრთა, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან არის დაპირისპირებული, ივანიშვილთან დადის მოლაპარაკებებზე. გიგი უგულავას ციხიდან გამოსვლა სწორედ ამ მოლაპარაკებების შედეგია.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ციხიდან თბილისის ყოფილი მერი საგანგებო დავალებით გამოუშვეს.

– რა დავალებით?

– „ქართულ ოცნებაში“ მიხვდნენ, რომ მისგან პოლიტიკური ლიდერი არ გამოვა. ამიტომ ის უნდა დაეხმაროს გიგა ბოკერიას და სააკაშვილის საპირწონე უნდა გახდნენ. ამის გაკეთება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ნიკა მელია მიხეილ სააკაშვილის მხარეს გადაიხარა. არაა გამორიცხული, რომ თვითმართველობის არჩევნებზე ნაციონალების ორივე ფრთამ წამოაყენოს მერობის კანდიდატები. ესენი ნიკა მელია და გიგი უგულავა იქნებიან. მათი კანდიდატი ხელისუფლებიდან კახა კალაძე იქნება.

სააპელაციო სასამართლომ დავით კეზერაშვილის საქმეც განიხილა და ის უდანაშაულოდ ცნო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის სააკაშვილის მხარეს არის. ვანო მერაბიშვილის საკითხი გარკვეული არ არის. ის არავისკენ არ იხრება და ამბობს, ციხიდან რომ გამოვალ, პოლიტიკას შევეშვები და საქართველოდან საერთოდ წავალო.

– ამბობენ, რომ ნაციონალებთან რაღაც მოლაპარაკებებს ირაკლი ოქრუაშვილიც აწარმოებს. თქვენი აზრით, ვის მხარეს შეიძლება აღმოჩნდეს თავდაცვის ყოფილი მინისტრი?

– ოქრუაშვილის და ნაციონალების მოლაპარაკებების შესახებ არაფერი ვიცი, ისინი ერთ გუნდს წარმოადგენდნენ და არაა გასაკვირი, რაღაცაზე საუბრობდნენ. სასაუბრო ბევრი ექნებათ თუნდაც რუსთავი 2. ამ ტელევიზიაზე პრეტენზიებს ისიც აცხადებს.

რუსთავი 2 ნაციონალების ხელში მძლავრი იარაღია. მის ხელში ჩაგდებას პარტიის ორივე ფრთა ცდილობს. დღეის მდგომარეობით ტელეკომპანია მიხეილ სააკაშვილის მხარეს იხრება.

დღეს ძალიან ძნელია იმის თქმა თუ ვის დარჩება ეს ტელევიზია, ისიც გასარკვევია, ვის დარჩება სახელი ნაციონალური მოძრაობა. პარტიაში ქონების შეფასება-დათვლის პროცესი მიდის. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები დიდი გაყოფისთვის ემზადებიან.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გიგი უგულავა თავისუფალია

იმ ბინძურ ცილისწამებაზე, რომელიც მის მიმართ იყო პარტიის გარკვეული ლიდერების მხრიდან.

* * *

ნაციონალების ნაწილი ამტკიცებს, რომ უგულავას გათავისუფლების საფუძველი მის მიერ ციხიდან მოწერილი წერილია.

ყოფილი დეპუტატი ნიკა რურუა ამბობს, რომ პარტიაში მიმდინარე პროცესები ნაცმოძრაობისთვის ძალიან ცუდია. მისივე განმარტებით, ამ პროცესებს საფუძველი გიგი უგულავას წერილმა დაუდო.

– გიგი უგულავასთვისაც მაქვს ეს შეთვლილი, რომ არ ვთვლიდი მის მიერ გამოქვეყნებულ წერილს არც დროულად და არც საჭიროდ. არ ვეთანხმები მის შინაარსს და პათოსს. ეს იყო უდროო და ამან არაჯანსაღი პროცესი დაიწყო, რომელიც ამჟამად ემსახურება ერთი კაცის ინტერესებს. ეს წერილი ემსახურებოდა ერთ რამეს, პარტიისა და სააკაშვილის ერთმანეთთან დაშორებას. ამან გამოიწვია უკურეაქცია და ის პროცესები, რომლებიც პარტიას არ აძლიერებს, – განაცხადა რურუამ პალიტრანიუსთან საუბარში.

მისი თქმით, პარტიის გაყოფისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი შეცდომაა. ის ასევე შეცდომად მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილის პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენებას.

– როდესაც ადამიანი დევნილია, ადამიანი, ვინც ეს პარტია შექმნა, რომელმაც არშემდგარი სახელმწიფო ფუნქციონალურ სახელმწიფოდ აქცია, ვგულისხმობ მიხეილ სააკაშვილს, მისი გადაყენება სიმბოლური პოსტიდან არ არის კარგი საქმე, არ არის სწორი და არის არაპრაგმატული, რადგან ამით პარტია კი არ ძლიერდება, სუსტდება, – აღნიშნა რურუამ.

* * *

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე სწორედ გიგი უგულავას კანდიდატურა იყოს წარდგენილი. ამ ინფორმაციას ნაციონალები არ ადასტურებენ.

აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პარტიის თავმჯდომარედ პარტიის ნაწილი დავით ბაქრაძის კანდიდატურის წამოყენებას აპირებდა. ვიცე-სპიკერი სერგი კაპანაძე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ბაქრაძეს სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი აქვს.

პატიმრობიდან გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე გიგი უგულავას ციხეში ნიკა მელიამ და გიგა ბოკერიამ მიაკითხეს. როგორც ამბობენ, მატროსოვზე მათ განიხილეს გეგმა, რომლის მიხედვითაც, 20 იანვრისთვის დაგეგმილი ყრილობა არალეგიტიმურად უნდა გამოცხადებულიყო.

თავიდან ნიკა მელიაც ეწინააღმდეგებოდა 7.000-იანი ყრილობის გამართვას. მერე პოზიციები შეცვალა. ის ყრილობის მომხრეთა განცხადების სახელით განცხადების გაკეთებას 5 იანვარს აპირებდა. ნაცმოძრაობის პარტიული ოფისი 5 იანვრამდე საახალწლო შვებულებაში იმყოფებოდა.

როგორც „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობასთან დაახლოებულმა პირებმა განუცხადეს, როგორც კი მეორე ფრთამ მელიას ფერისცვალების ამბავი გაიგო, შვებულება შეწყვიტეს და 4 იანვარს პარტიის აღმასრულებელ მდივან სერგო რატიანს საგანგებო განცხადება გაავრცელებინეს.

რატიანი და მისი სამწყსო 20 იანვრის ყრილობას არალეგიტიმურად მიიჩნევენ.

უგულავას გათავისუფლების დღეს ამ თემაზე განცხადებები არ გაკეთებულა. მხოლოდ ნიკა მელიამ თქვა, თუ ოპონენტები ნაცმოძრაობიდან წასვლას გადაწყვეტენ, დეპუტატის მანდატებიც დატოვონო.

ყრილობაზე და ახალი თავმჯდომარის არჩევის აუცილებლობაზე 6 იანვარს უგულავას არ უსაუბრია. ყოფილი პატიმარი ამბობს, რომ ამ თემაზე მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ილაპარაკებს.

– ამ პარტიის გამო ვიჯექი ციხეში ორწელიწადნახევარი, ძალიან სამწუხაროა ის, რაც ხდება. მე შევხვდები მიხეილ სააკაშვილს და ყველა ჯგუფს, მანამდე მინდა ვთხოვო ყველას, შობა თენდება, საშობაო არდადეგები ორი-სამი დღე აიღეთ... ორი– სამი დღე მჭირდება. თუ შესაძლებელი იქნება, რომ ეს კრიზისი გავიაროთ, ძალისხმევას არ დავაკლებ. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ ჩემი პირადი პასუხისმგებლობაა, რომ ასეთი სამარცხვინო ფორმით ეს არ მოხდეს, – განაცხადა გიგი უგულავამ.

* * *

თბილისის ყოფილი მერის გათავისუფლებას მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან გამოეხმაურა. მან სოციალურ ქსელში საგანგებო განცხადება გაავრცელა.

სააკაშვილი მიიჩნევს, რომ საქმე გვაქვს არა სამართლებრივ, არამედ ივანიშვილის პირად გადაწყვეტილებებთან როგორც დაპატიმრებაზე, ისე გათავისუფლებაზე.

– მიხარია, რომ ის შობის დღესასწაულს აღნიშნავს თავის შვილებთან და მეგობრებთან ერთად. გიგის არც დანაშაული ჩაუდენია და არც არასწორი ქმედებები განუხორციელებია (მიუხედავად იმისა, თუ რა განაცხადა მან ბოლო სასამართლო პროცესზე) იმ საკითხთან მიმართებით, რასაც ივანიშვილის ჯიბის პროკურორები უყენებდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში.

ამგვარად, ეს პატიმრობა სხვა არაფერი იყო, თუ არა ოლიგარქის პირადი შურისძიება და დაშინების კამპანიის ნაწილი. ამავე დროს, მგონი, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს აღარ იღებენ პროკურორები, ადვოკატები და სასამართლოები და რომ საქმე გვაქვს არა სამართლებრივ, არამედ ივანიშვილის პირად გადაწყვეტილებებთან როგორც დაპატიმრებაზე, ისე გათავისუფლებაზე.

ამიტომ ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას სხვა პოლიტპატიმრების დაუყოვნებლივი გათავისუფლება და ჩემთვის საქართველოში დაუბრკოლებლად ჩამოსვლის საშუალების მოცემა ჩვენს ხალხთან შესახვედრად და 20 იანვარს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად, – წერს სააკაშვილი.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

„ევროპა ვერ დაივიწყებს იმას, რაც რუსეთმა საქართველოსა და უკრაინაში მოაწყო“

რა ელის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე დღის წინ ჩამოსულმა ამერიკელმა სენატორებმა დაარწმუნეს საქართველო, რომ აშშ რჩება ქვეყნის საიმედო მოკავშირედ. თავის მხრივ, საქართველოც აღიარებს აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად. თუმცა, მსოფლიოში შექმნილი ვითარება რთულია, მათ შორის, უსაფრთხოების მხრივ და ის მხოლოდ ამერიკელ კონგრესმენებზე ან ქართველ პოლიტიკოსებზე არ არის დამოკიდებული.

ამას ადასტურებს უთანხმოება რუსეთის სანქციების საკითხში. ევროპელი ლიდერების უმრავლესობა მომხრეა, რომ რუსეთს გაუგრძელდეს 2014 წლის ზაფხულში სანქციები. ისინი შეიღეს აშშ-მ და ევროკავშირმა უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შემდეგ. სანქციების გაგრძელების წინააღმდეგ გამოდიან არჩეული პრეზიდენტი ტრამპი და ევროპელი პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლის შანსი აქვთ. რუსეთისთვის ახალი, ჰაკერობის გამო მკაცრი სანქციების შემოღების ინიციატივით გამოდიან ამერიკელი კანონმდებლები.

ფრანგული ლე მონდი აცხადებს, რომ სანქციები აუცილებელია და ევროპა 2014 წელს შემოტანილი სანქციების გაუქმებას უნდა შეეწინააღმდეგოს. გაზეთი აკრიტიკებს საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მოხსნას უჭერენ მხარს. მისი თქმით, ეს პრობლემას უქმნის საფრანგეთის უსაფრთხოებას:

– რა გამოდის, დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ის, რაც ვლადიმირ პუტინმა მოაწყო საქართველოსა და უკრაინაში 2008 წლიდან მოყოლებული? უნდა გამოვაცხადოთ რუსეთის გავლენის ზონად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია? სანქციები უნდა გავაუქმოთ სარგებლობის გამო? გააუმჯობესებს კი ეს კონტინენტზე უსაფრთხოების პერსპექტივებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ზონა უფრო ახლოს არის ჩვენს საზღვრებთან, ვიდრე სირია?

გამოცემის შეფასებით, სტაბილურობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მთელი ევროპის უმნიშვნელოვანესი მიზანი უნდა იყოს იმ დროს, როცა, როგორც ჩანს, ყალიბდება ტრამპი-პუტინის ოლიგარქიული ინტერნაციონალი.

ლე მონდი მიიჩნევს, რომ საფრანგეთის ლიდერები და მათი ევროპელი მოკავშირეები თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისთვის უნდა მიეჩვიონ ვაშინგტონში სიარულსა და საკუთარი ინტერესების ლობირებას.

ტრამპის ადმინისტრაციასთან მისასვლელ გზებს ეძებს უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც. გაზეთ ვზგლიადის სიტყვებით, აშშ-ის კონგრესის მხარდაჭერა პოროშენკოს განაღდებული აქვს. იგი სენატორ მაკეინს უკრაინაში სენატორების ვიზიტისას დონბასშიც კი ახლდა. თუმცა, კონგრესის მხარდაჭერა საკმარისი არ არის. ამის გამო პოროშენკო ლობისტების მეშვეობით ცდილობს კავშირების დამყარებას დონალდ ტრამპთან.

ამავე გაზეთის ინფორმაციით, პოროშენკოს პოზიციები შეერყა, ვინაიდან ამერიკელების მიერ დაფუძნებულმა უკრაინის ანტიკორუფციულმა ბიურომ სერიოზული დარღვევები აღმოუჩინა უკრაინის გენპროკურორ ლუცენკოს, რაც ნიშნავს დარტყმას პოროშენკოზე.

მსოფლიოში შექმნილ ახალ რეალობასა და პუტინის გავლენის ზრდაზე საუბრობს ნორვეგიული დაგბლადეტი, რომელიც გამოთქვამს აზრს, რომ ბარაქ ობამამ პუტინთან 0:6 წააგო.

გამოცემის აზრით, დეკემბრის ბოლოს აშშ-დან რუსი დიპლომატების გამოძევებით ობამას უნდოდა ეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს მსოფლიო.

მაგრამ მსოფლიო უკვე სხვანაირია.

დიპლომატები გამოაძევეს აშშ-ის სპეცსამსახურების განცხადების საფუძველზე. მათი თქმით, შემოდგომაზე რუსეთმა ჰაკერული შეტევა განახორციელა დემოკრატიული პარტიის კომპიუტერებზე. დონალდ ტრამპს რუსეთის ჰაკერობის არ სჯერა. იგი რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების მიმართაც სკეპტიკურად არის განწყობილი.

ნორვეგიული მედიის შეფასებით, პუტინის გამარჯვებები დაიწყო იმით, რომ 2014 წელს გამოცხადებულ სანქციებს მან კონტრსანქციებით უპასუხა, რითიც დააზარალა ევროკავშირი. გარდა ამისა, მისმა სამხედრო მოქმედებებმა სირიაში მოიტანა ის, რომ ასადმა კონტროლი დაამყარა ალეპოზე.

პუტინის კიდევ ერთი დიდი წარმატებაა თურქეთთან და ირანთან პარტნიორობა სირიის საკითხში. ამან მეორე პლანზე გადაანაცვლა აშშ.

რუსეთის პრეზიდენტის ტრუმფად გაზეთი მიიჩნევს დონალდ ტრამპის გამარჯვებას, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა რუსეთმა გავლენა აშშ-ის არჩევნების შედეგებზე.

პუტინის ფინტად ავტორები თვლიან პუტინის გადაწყვეტილებას, არ გააძევოს რუსეთიდან ამერიკელი დიპლომატები ობამას ხისტი გადაწყვეტილების საპასუხოდ. მედიასაშუალება დიდ გამარჯვებად მიიჩნევს, რომ პუტინმა არათუ არ გამოაცხადა პერსონა ნონ გრატად ამერიკელი დიპლომატები, არამედ, მათი შვილები კრემლში ნაძვის ხეზე მიიწვია.

მსოფლიოში ბევრი რამ გაირკვევა მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი საქმიანობას შეუდგება.

საზმაუს გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე გახდა

შორენა მარსაგიშვილი

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე გახდა.



გამარჯვებულის გამოსავლენად 2 ტურის ჩატარება გახდა საჭირო. პირველი ტურის შედეგების მიხედვით, ვასილ მაღლაფერიძეს 4 ხმა ჰქონდა, თიკო ბერძენიშვილმა 2 ხმა მოაგროვა, თითო-თითო ხმა მიიღეს ნინო ზაუტაშვილმა და ნათია კუპრაშვილმა. ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო ზაალ ანჯაფარიძემ.

მეორე ტურში ბორდის წევრთა უმრავლესობამ მხარი მაღლაფერიძეს დაუჭირა და მან 6 ხმა მიიღო. მეორე ტურში მონაწილეობას თიკო ბერძენიშვილიც იღებდა, რომელსაც ბორდის 2-მა წევრმა დაუჭირა მხარი

საზმაუს ბორდის გადაწყვეტილებას დიდი ალიაქთი მოჰყვა. ერის დიდმა ნაწილმა მაღლაფერიძე დაგმო და მას ივანიშვილის ინტერესების გამტარებელი უწოდა.

პოლიტიკურად ანგაჟირებულად მიიჩნევს ვასილ მაღლაფერიძეს მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე.

– სამწუხარო რეალობაა. საბჭომ 6 იანვარს გადაწყვეტილება მიიღო სწორედაც პოლიტიკური მიკერძოებულობის ნიშნით. საბჭომ პრაქტიკულად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც არის ორიენტირებული იმაზე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული ინსტიტუცია, რაღაც პერიოდით კიდევ ვერ განვითარდეს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭომ მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკურად ანგაჟირებული პერსონა აირჩია გენერალურ დირექტორად, ადამიანი, რომელიც გასაუბრების დროს ღიად საუბრობდა თავის პოლიტიკურ მიკერძოებულობაზე, რომელიც მას არ უქმნის უხერხულობას. დღეს აღმოჩნდა, რომ ეს საბჭოსაც არ უქმნის უხერხულობას. ჩვენ პრაქტიკულად შეიძლება აღმოვჩნდეთ ფაქტის წინაშე, რომ გვქონდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიული კუთვნილებით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს თავისი სამეურვეო საბჭოს პირით აცხადებს, რომ ჩვენ პოლიტიკური მიკერძოებულობა არ გვაინტერესებს, ჩვენ არ გვაინტერესებს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. დღეს საბჭომ ღიად თქვა – ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, ჩვენ, დიახაც, გვაინტერესებს ადამიანი, რომელმაც 5 იანვარს დაადასტურა გასაუბრების დროს, რომ მას აქვს პოლიტიკური სიმპათიები და ეს მას ხელს არ უშლის თავის მედიასაქმიანობაში. ეს არის ძალიან ცუდი პრეცედენტი, – განაცხადა ზვიად ქორიძემ.

საზმაუს ბორდს არჩევანი „რეზონანსის“ რედაქტორმა ლაშა ტუღუშმაც დაუწუნა.

– სამარცხვინო გადაწყვეტილებაა, რომ შეიძლებოდეს, დავუსტვენდი, – განაცხადა ტუღუშმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის ერთ-ერთი წევრი გია ნიჟარაძე მიიჩნევს, რომ ვასილ მაღლაფერიძე ღირსეული კანდიდატია. მისი თქმით, მაღლაფერიძემ სამეურვეო საბჭოს კითხვებს გულწრფელი პასუხები გასცა.

– ძალიან გულწრფელი პასუხი გაგვცა ბატონმა ვასილმა ძალიან მძიმე კითხვებზე, აიღო პასუხისმგებლობა ადამიანმა, თქვა, რომ ეს ასე არ არის, მე არავის გავლენის ქვეშ არ ვარ, მე მაქვს გეგმა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნიჟარაძემ.

მედიასთან კომენტარი სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემაც გააკეთა.

გრიგოლ გეგელიას თქმით, იმაში ტრაგიკული არაფერია თუ ვინმე პოლიტიკურად ანგაჟირებულია.

– არისტოტელესი არ იყოს, ადამიანი ზოგადად არის პოლიტიკური ცხოველი, შესაბამისად, მას აქვს პრეფერენციები, – განაცხადა გეგელიამ.

მოწინააღმდეგეები მაღლაფერიძეს საზმაუს სამეურვეო საბჭოშიც აღმოაჩნდა. სულხან სალაძის თქმით, სამეურვეო საბჭომ გააკეთა ყველაზე ცუდი არჩევანი, რომელიც კი შეიძლებოდა გაეკეთებინა და დიდი ნაბიჯი გადადგა რეგრესისკენ.

– სამეურვეო საბჭოს უმრავლესობის დღევანდელი გადაწყვეტილება პოლიტიკური ხასიათის იყო და საბჭოს ის წევრები, ვინც ხმა ვასილ მაღლაფერიძეს მისცეს, არ იყვნენ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების დროს.

პირველ ტურში მე ხმა ნინო ზაუტაშვილს მივეცი. მეორე ტურში, მაღალფერიძესა და თიკო ბერძენიშვილს შორის არჩევანის გაკეთების დროს ბევრი არაფერი იყო საფიქრალი, მხარი ბერძენიშვილს დავუჭირე.

რეალურად იყო შანსი, რომ საქმე მესამე ტურამდე მისულიყო, სადაც ღია კენჭისყრისას ნახავდა საზოგადოება, თუ ვინ ვის მისცემდა ხმას. ვფიქრობ, რომ საბჭოს უმრავლესობამ ღია კენჭისყრის თავიდან არიდების მიზნით, მეორე ტურშივე მოაგვარა საქმე, – დაწერა სალაძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

კოლეგების და ბორდის წევრების ნაწილის მიერ დაგმობილი მაღლაფერიძე თავის მთავარ დასაყრდენად საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს თვლის.

მაღლაფერიძემ არ გამორიცხა, რომ გარკვეული ცვლილებები მოხდება.

– მე საკმაოდ კარგად ვიცნობ საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ კოლექტივს. ამ კოლექტივს აქვს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინტელექტუალური რესურსი. ჩემი ძირითადი საყრდენი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები, თუმცა რაღაც ცვლილებები, ბუნებრივია, მოხდება, რადგან ჩვეულებრივი პროცესია ტელევიზიებიდან ტელევიზიებში გადასვლა, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

რაც შეეხება მის პოლიტიკურ წარსულს, რომელსაც დიდ ცოდვად უთვლიან, მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ ყველა ადამიანს აქვს წარსული. მთავარი ისაა, როგორია ეს წარსული.

– თითქოს პოლიტიკური დანაშაული მაქვს ჩადენილი, როცა ამბობთ, რომ პოლიტიკური წარსული მაქვს. ყველა ადამიანს გვაქვს ჩვენი წარსული. ჩვენ უნდა ვნახოთ, არის თუ არა იქ რაიმე საჩოთირო და სამარცხვინო. მე ვფიქრობ, რომ ჩემს საქციელში საჩოთირო არაფერია. საუბარი იმაზე, რომ მე პოლიტიკური წარსული მაქვს, თითოეულ ჩვენთაგანს გვაქვს პოლიტიკური წარსული, მთავარია, როგორია ეს პოლიტიკური წარსული, – განაცხადა ვასილ მაღლაფერიძემ.

თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი მოხსნეს

ქალაქ თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი თეონა მიქელაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

მიქელაძის მოხსნას წინ უძღოდა კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია თელავის საბავშვო ბაღებში ხორცისა და რძის პროდუქტების შემცირების შესახებ, რომელსაც პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა და ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირის გათავისუფლება მოითხოვა.

ქალაქ თელავის საბავშვო ბაღებში ხორცისა და რძის პროდუქტები რომ შეამცირეს, ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს აღსაზრდელების მშობლებმა აცნობეს.

მათი ინფორმაციით, 2016 წლის დეკემბერში მენიუში აღარ იყო ხორცის გუფთა, ბავშვებს აღარ აჭმევდნენ ასევე არაჟანსა და ხაჭაპურს. მათივე ინფორმაციით, ხორცის გუფთა ბრინჯიანი სუპით ჩაანაცვლეს, ხაჭაპური კი – ყველიანი მაკარონით.

მენიუში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრთან სატელეფონო საუბარში რამდენიმე საბავშვო ბაღის მენეჯერმაც დაადასტურა. მათი თქმით, მენიუს შეცვლის გადაწყვეტილება საბავშვო ბაღების გაერთიანებამ მათგან დამოუკიდებლად მიიღო. ქალაქ თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში 9 საბავშვო ბაღია. გაერთიანების დირექტორმა თეონა მიქელაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს თავდაპირველად უთხრა, რომ მენიუ საერთოდ არ შეუცვლიათ, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ ხორცის გუფთა მენიუდან საბავშვო ბაღების მენეჯერების თხოვნით ამოიღეს.

– გვითხრეს, რომ ბავშვები წვენს ხვრეპდნენ და ხორცის გუფთას არ ჭამდნენ, – აღნიშნა თეონა მიქელაძემ.

პრემიერის განცხადების საპასუხოდ ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ აღნიშნა, რომ მედიით გავრცელებული ინფორმაცია არაზუსტი იყო. თეონა მიქელაძე ქალაქის მერის მეუღლის, შორენა გრიშიკაშვილის ახლო მეგობარია. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანებიდან საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით ამ დრომდე ვერ მიიღო.

რამდენიმე დღის წინ, თეონა მიქელაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. პლატონ კალმახელიძის განმარტებით, მიქელაძემ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება თვითონ დაწერა. ქალაქ თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორად თინათინ ხანჯალიაშვილი დაინიშნა, რომელიც მანამდე არასამთავრობო სექტორში მუშაობდა და მცირე ბიზნესით იყო დაკავებული.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ

პროკურორი ადვოკატებს საქმის განზრახ გაჭიანურებას აბრალებს

ფახული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებული კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები 6 იანვარს სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების მოპოვება-შენახვაში ბრალდებულებს რევაზ შიუკაშვილს, ირაკლი ყიფშიძეს და გიგლა შიოშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ცხრათვიანი ვადა 7 იანვარს ეწურებოდათ და ვინაიდან სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დასრულებულა, სასამართლომ, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, ბრალდებულები 6 იანვარს გაათავისუფლა.

გათავისუფლება არ შეეხო მხოლოდ ერთ ბრალდებულს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილე ვასილ ლელუაშვილს, რომელსაც მსჯავრი სხვა საქმეზე დაედო.

სახელმწიფო ბრალდება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის 6 თანამშრომელს სამოხელეო დანაშაულის ჩადენას ედავება, კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას დაზარალებულთა პირადი შეურაცხყოფით.

კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები სამართალდამცველებმა 2016 წლის აპრილში დააკავეს.

* * *

– ერთადერთი პირი ვიყავი დასაჭერი და დამიჭირეს, – განაცხადა რევაზ შიუკაშვილმა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების შემდეგ.

როგორც ბრალდებული განმარტავს, მას ფარული ჩანაწერების საქმესთან არავითარი შემხებლობა არ აქვს.

– არ მაქვს აღნიშნულთან არანაირი შეხების წერტილი და ამას ჩვენ დავამტკიცებთ. ერთადერთი პირი ვიყავი დასაჭერი და დამიჭირეს, – განაცხადა რევაზ შიუკაშვილმა.

სასამართლოს შემდეგ პროკურატურამ კომენტარი გააკეთა.

– დაცვის მხარე მაქსიმალურად შეეცადა და პრაქტიკულად მიაღწია, რომ პროცესები გაჭიანურებულიყო და ცხრათვიანი ვადა გასულიყო, – განაცხადა ფარული ჩანაწერების საქმის პროკურორმა მაია ჯვარშეიშვილმა.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, სახელმწიფო ბრალდებას მოცემულ საქმეზე აქვს საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი იქნას გამოტანილი.

– ბრალდების მხარემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სხდომები კანონით დადგენილ 9-თვიან ვადაში დასრულებულიყო. თუმცა, დაცვის მხარე მაქსიმალურად შეეცადა და პრაქტიკულად მიაღწია იმას, რომ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო სხდომები გაჭიანურებულიყო და, შესაბამისად, ამით მიაღწიეს 9-თვიანი ვადის გასვლას.

მათ ვერ შეძლეს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისთვის რაიმე მტკიცებულება დაეპირისპირებინათ და ერთადერთი, რაც მათ ხელთ გააჩნდათ, ეს იყო პროცესის გაჭიანურება, – განაცხადა მაია ჯვარშეიშვილმა.

რაც შეეხება ბრალდებულთა თავისუფლებაზე ყოფნის საფრთხეებს, როგორც პროკურორმა განმარტა, ისეთი საფრთხეები, როგორიც არის მოწმეებზე ზემოქმედება, მტკიცებულებების განადგურება და მიმალვა, მინიმალურად კვლავაც არსებობს.

– ალბათ არის მაინც მინიმალური საფრთხეები, ვფიქრობთ, მათი რეალიზება არ უნდა მოხდეს, თუმცა, თუ ასეთი საფრთხე რეალიზებული იქნება, მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები, – განაცხადა პროკურორმა.

მაია ჯვარშეიშვილმა დაცვის მხარის პოზიციასაც უპასუხა. ადვოკატები აცხადებენ, რომ ბრალდებულებს არასწორი კვალიფიკაციით აქვთ წარდგენილი ბრალი და საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები.

– კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ წარდგენილი კვალიფიკაცია არის სამართლებრივად სწორი და შეესაბამება ბრალდებულთა მიერ განხორციელებულ ქმედებას. ასევე არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა მათი დანაშაულის დასამტკიცებლად. მხოლოდ მცირე ხანი გვაშორებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, – აღნიშნა პროკურორმა.

* * *

ბრალდებულების ირაკლი ყიფშიძისა და დიმიტრი თათრიშვილის ადვოკატის განცხადებით, დაცვის მხარემ მაქსიმალურად შეუწყო ხელი პროკურორებს, რათა საქმის განხილვა სასამართლოში სწრაფ ტემპში წარმართულიყო.

როგორც მაღხაზ ველიჯანაშვილმა განაცხადა, სიმართლეს არ შეესაბამება პროკურატურის ის განცხადება, რომ თითქოს 9 თვეში ვერ მოასწრო მტკიცებულებების გამოკვლევა და ამაში დაცვამ შეუშალა ხელი.

– ამ 9 თვიდან მარტო 5 თვე გამოძიებაზე დაიხარჯა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო პროცესებში. თვეზე მეტი კი გაგრძელდა წინასასამართლო პროცესები. დარჩენილ 3 თვეში საკმაოდ ინტენსიურად ინიშნებოდა პროცესები და 1 პროცესზე 38 მოწმე დაიკითხა. ვერ დამისახელებს ვერავინ ისეთ პროცესს, სადაც 1 სხდომაზე 38 ან თუნდაც 20 მოწმე მაინც დაკითხულიყო.

ეს იმას ნიშნავს, რომ არათუ დაცვის მხარემ გააჭიანურა, არამედ ხელი შეუწყო ყველანაირად, რომ პროცესი სწრაფად წარმართულიყო. პროცესების დასრულება იმის გამო ვერ მოესწრო 9 თვეში, რომ იყო მოწმეების დიდი რაოდენობა, საქმე არის მრავალეპიზოდიანი და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო ამ საქმის 9 თვეში დასრულება, – განაცხადა ველიჯანაშვილმა.

ადვოკატი დარწმუნებულია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფები გამართლდებიან, ვინაიდან მათ წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება არ არსებობს.

– საქმეში მხოლოდ ერთი მოწმეა, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების წინააღმდეგ ჩვენებას იძლევა. თუმცა, ის არის მიკერძოებული, მისი ჩვენება წინააღმდეგობაში მოდის სხვა მოწმეების ჩვენებებთან და საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, შესაბამისად, ამ მოწმის ჩვენების გაზიარება შეუძლებელია, – აღნიშნა ადვოკატმა.

ინტერპრესნიუსი

ოჯახის მოძალადე 1 წელსა და 6 თვეს ციხეში გაატარებს

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრების მიმართ არაერთგზის ძალადობის ჩადენისთვის, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი თამაზ ჭიტაძე დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 -ე მუხლის II ნაწილის „ა“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 12 სექტემბერს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თამაზ ჭიტაძემ ადიგენის რაიონის სოფელ პატარა სმადაში, მისსავე საცხოვრებელ ბინაში დედას ც.ჭ.-ს და არასრულწლოვან შვილს ნ. ჭ.-ს სრულიად უმიზეზოდ მიაყენა შეურაცხყოფა, რამაც ამ უკანასკნელთა დამცირება და ტანჯვა გამოიწვია.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ასევე დადასტურდა, რომ თამაზ ჭიტაძე სხვადასხვა დროს, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი, დედას და შვილს სისტემატიურად აყენებდა შეურაცხყოფას, ემუქრებოდა და ამცირებდა.

თამაზ ჭიტაძეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის II ნაწილის „ა“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ოჯახის ერთი წევრის მიერ არასრულწლოვანისა და ოჯახის ორი წევრის მიმართ სისტემატიური შეურაცხყოფა, შანტაჟი და დამცირება, რამაც ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 5.000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ თამაზ ჭიტაძე დედისა და არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის რამდენჯერმეა ნასამართლევი.

2014 წლის 2 ივლისს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახით შეუფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 120 საათი. ვინაიდან იგი თავს არიდებდა სასჯელის მოხდას, სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე შეეცვალა ჯარიმით 1.125 ლარის ოდენობით.

ასევე, თამაზ ჭიტაძე 2015 წლის 27 თებერვლის სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის II ნაწილის „ა“ „ბ“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით და ჯარიმა 1.125 ლარი განესაზღვრა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ თამაზ ჭიტაძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით განუსაზღვრა.

ვინაიდან თამაზ ჭიტაძეს ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ 2015 წლის 27 თებერვლის განაჩენით განსაზღვრული სასჯელი – ჯარიმა 1.125 ლარის ოდენობით – მოუხდელი ჰქონდა, იგი მიემატა 2016 წლის 12 სექტემბერს ჩადენილი დანაშაულისთვის დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად, განაჩენთა ერთობლიობით, თამაზ ჭიტაძეს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 1.125 ლარის ოდენობით განესაზღვრა.

თამაზ ჭიტაძე პატიმრობაში სასამართლო დარბაზიდან იქნა აყვანილი.

ყოფილი დეპუტატის მკვლელს 11 წელი მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და პარლამენტის ყოფილი წევრის ნოდარ მოდებაძის განზრახ მკვლელობაში ავთანდილ ზაალიშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2016 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 16:00 საათზე, ნოდარ მოდებაძეს და ავთანდილ ზაალიშვილს თელავის რაიონის სოფელ აკურას მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ ხმელიანის ადგილებში ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ.

ამ დროს ნოდარ მოდებაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ავთანდილ ზაალიშვილს. განაწყენებულმა ავთანდილ ზაალიშვილმა დატოვა შემთხვევის ადგილი და შურისძიების მოტივით ნოდარ მოდებაძის მკვლელობა განიზრახა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ავთანდილ ზაალიშვილი იმავე დღეს, ე.წ ხმელიანის ადგილებში სანადირო თოფით შეიარაღებული დაბრუნდა, ნოდარ მოდებაძეს მუცლის არეში ორჯერ ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიღებული ჭრილობების შედეგად ნოდარ მოდებაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ავთანდილ ზაალიშვილი 9 აგვისტოს სოფელ აკურაში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ავთანდილ ზაალიშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ყველაზე რთული პერიოდი თებერვალ-მარტში გველოდება

რას ამბობენ ექსპერტები

ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა ჩვენი მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია და ეს ბუნებრივია: ლარის კურსზე დამოკიდებულია ბიზნესი და, საერთოდ, საქართველოს ეკონომიკა, ლარის კურსი განსაზღვრავს ქვეყნის ყოველდღიურ ყოფას.

6 იანვარს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.7303 ლარი გახდა, ეს მაშინ, როცა 5 იანვარს 1 დოლარის ღირებულება 2.6692 ლარი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ლარის კურსის მერყეობა ბოლო თვეებში აღარავის უკვირს, ეს მაინც სერიოზულ დაღს ასვამს ჩვენს ყოველდღიურობას. მოსახლეობაში მუდმივად ჩნდება ეჭვი – როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ლარის გაუფასურება, რა იქნება ხვალ და რამდენად საიმედოა ვალუტა, რომლითაც თითოეული ჩვენგანის ხელფასი განისაზღვრება?

ეს კითხვები ეკონომიკის ექსპერტებს დავუსვით, რომლებიც აღიარებენ, რომ მდგომარეობა საკმაოდ რთულია.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი მაკალათია იმ მიზეზებზე საუბრობს, რომლებმაც დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში ლარის დასტაბილურება გამოიწვია.

ირაკლი მაკალათია:

– ახალი წლის წინა დღეებში ფულზე მოთხოვნა ყოველთვის იზრდება, ლარის კურსის დასტაბილურება სწორედ ამის დამსახურება იყო. ამ ფაქტორს დაემატა ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდაც და ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო იმას, რომ ვალუტის კურსი დასტაბილურდა, მაგრამ როგორც კი ლარზე მოთხოვნა შემცირდა, მისი დევალვაციის პროცესი ისევ განახლდა.

ამის დასტურია ბოლო დღეების დინამიკაც. როგორც წესი, დევალვაციის პროცესი გაზაფხულზეც გრძელდება ხოლმე, ამიტომ ეროვნული ვალუტის გამყარებას უფრო მეორე კვარტლიდან უნდა ველოდოთ, თუმცა ეს ნიშნული 2,5-ზე დაბლა არ ჩამოვა თუნდაც იმიტომ, რომ ბიუჯეტი სწორედ ამ ნიშნულზეა დაგეგმილი. სავარაუდოდ, მინიმალური ზღვარი სწორედ ეს იქნება.

ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი კი ის იქნება, თუ ლარის კურსის ცვალებადობა 2,5-2,6 ფარგლებში შენარჩუნდება – ეს შექმნილ სიტუაციაში იდეალური ვარიანტია. ჩემი აზრით, ლარის უფრო მეტად გამყარებას არ უნდა ველოდოთ.

იგივე მოსაზრება გამოთქვა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ავთო სილაგაძემ**.

– მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ბიუჯეტი დაიგეგმა 2,5-ის ფარგლებში, რაც ლარის გაუფასურების ისტორიული მაქსიმუმია და ჩვენ შევეგუეთ იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტი ამ მაქსიმუმზე დაიგეგმა, უფრო მეტიც, ჩვენ ეს ნიშნულიც ვერ შევინარჩუნეთ, – განაცხადა პროფესორმა სილაგაძემ.

მისი აზრით, ამჟამად ჩვენს ეკონომიკაში ქაოტური სიტუაციაა. მთავრობა უნდა დაინტერესდეს,

როგორია რეალური სურათი, რადგან ციფრები, რომლებიც ქვეყნდება, სულ სხვაა და რეალობა – სულ სხვა.

– ეს ეხება 2%-იან ინფლაციას, რომელსაც მე არასოდეს ვეთანხმებოდი, ეს ეხება არარეალურ სამომხმარებლო კალათას, ფასების ზრდას, რომელიც 1 იანვრიდან დაიწყო და ა.შ. მთავრობა კარგა ხანს ცდილობდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე უარყოფითი პროცესები საგარეო ფაქტორებით აეხსნა და საშინაო პრობლემებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. იმედია, რომ წელს ეს მიდგომა შეიცვლება და საქართველოს მთავრობა უფრო ღრმად ჩახედავს და შეისწავლის პრობლემებს, რომლებიც ჩვენს ეკონომიკაშია, – აღნიშნა სილაგაძემ.

მისი შეფასებით, ლარის დევალვაციის შერბილება დროებითი ფაქტორებით იყო განპირობებული.

– 2016 წლის ბოლოს ყველასთვის უსიამოვნო პროცესი შეწყდა და გაცვლითი კურსის შერბილება დაიწყო, მაგრამ ეს ეკონომიკაში რაიმე მნიშვნელოვანი გარდაქმნის ბრალი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტის კურსი 2,64-2,65-იც კი გახდა მაშინ, როცა ერთხანს 2,80 იყო. ეს განაპირობა ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა გადასახადების გადახდა, ყველაზე მთავარი მიზეზი იყო საახალწლო პერიოდი, რადგან საახალწლოდ ადამიანები უფრო მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე სხვა დროს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ შიში, რომ დევალვაციის გაგრძელების შემთხვევაში მთავრობის და ეროვნული ბანკის მიმართ ხალხის დამოკიდებულება გართულდებოდა. ამიტომ, ეროვნულმა ბანკმა თავისი რეზერვებიც გამოიტანა და დახარჯა, – განაცხადა პროფესორმა.

მისი აზრით, ეს უკვე დაგვიანებული ნაბიჯი იყო და აჯობებდა, ეს რეზერვები ეროვნულ ბანკს სულ არ გამოეტანა. ამ ყველაფერმა ლარის 10-12 პუნქტით გაძლიერება გამოიწვია. ახლა ეს ფაქტორები უკვე აღარ მოქმედებს და ახალი წლის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა, ისევ დაიწყო კურსის დაცემა.

– სახეზეა ფასების ზრდაც და ვალუტის კურსის გაუფასურებაც. ამის გამო მოსახლეობის ძალიან დიდი ფენა რეალურ შემოსავალს კარგავს. ეს ტენდენცია ვერ შეჩერდება და ფასების ზრდას ვეღარ დავემალებით, მით უმეტეს, გაზაფხულზე, როცა ძველი მარაგები ამოწურულია და ახალი მოსავალი ჯერჯერობით არ არის.

თებერვალი-მარტი, ტრადიციულად, ყოველთვის რთული თვეებია და წელს არანაკლებ რთული იქნება. ამ სიტუაციაში გამოსავალი ერთადერთია: მოსახლეობა უნდა ენდოს მის მიერ არჩეულ მთავრობას, მაგრამ მთავრობამაც სათანადოდ უნდა იმუშაოს და ეს ნდობა გაამართლოს, – აღნიშნა ავთო სილაგაძემ.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიბიენი

კახა კალაძე: „არავის მივცემთ ჩვენი მოსახლეობის მოტყუების საშუალებას“

– ჩვენ არავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ ჩვენი მოსახლეობა მოატყუოს.

ამის შესახებ ვიცეპრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადა, სადაც მან დეკემბერში გაზის გაზრდილ გადასახადთან დაკავშირებით არსებულ პრეტენზიებზე კომპანია „ყაზტრანსგაზისა“ და „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

როგორც კახა კალაძემ ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს არასწორი გადასახადის გადახდა უწევთ აბონენტებს ბუნებრივ აირზე. მინისტრის განცხადებით, კომპანიამ კონკრეტული ქვითრები შეისწავლა და დადგინდა, რომ არანაირი პრობლემა არ არის.

კახა კალაძის თქმით, უბრალოდ, ბუნებრივი აირის მოხმარებაა გაზრდილი.

– ჩვენ არავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ მოატყუოს ან დაჩაგროს ჩვენი მოსახლეობა. სოციალურ ქსელში ბოლო დღეების განმავლობაში აქტიურად მიდის საუბარი, რომ თითქოს არასწორი გადასახადის გადახდა უწევს მოსახლეობას ბუნებრივ აირზე, ეს ასე ნამდვილად არ არის.

ვისაც ჰქონდათ პრეტენზიები და წარმოადგინეს ქვითრები, ეს იქნა შემოწმებული „ყაზტრანსგაზის“ მიერ და დადგინდა, რომ არანაირი პრობლემა არ არის, უბრალოდ, მოხმარებაა გაზრდილი. ამას თავისი ახსნა აქვს. დეკემბერ-ნოემბერში ჰაერის ტემპერატურა მართლა ცივი იყო 2015-2014 წლებთან შედარებით, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ასევე გაზრდილია ქვეყანაში ბუნებრივი აირის მოხმარება და ეს განპირობებულია იმითაც, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

– მინდა მივმართო ყველას, თუ ვინმეს ექნება რაიმე პრეტენზია „ყაზტრანსგაზის“ მიმართ, მიმართოს კომპანიას, დაუკავშირდნენ ცხელ ხაზზე, ისინი მაქსიმალურად მობილიზებულები და ვალდებულები არიან და მივლენ კონკრეტულ აბონენტთან, ადგილზე შეამოწმებენ მრიცხველსა და ქვითარს, – განაცხადა კახა კალაძემ.

მინისტრი გამოეხმაურა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში გასულ სიუჟეტს.

მისი თქმით, სიუჟეტში გაჟღერებული იყო არასწორი ინფორმაცია, რადგან მოხდა მარტში ბუნებრივი აირის მოხმარების შედარება დეკემბრის თვესთან.

– მე ვთხოვე, აეხსნა ეს ყველაფერი კომპანია „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენელს და გაირკვა, რომ არასწორი ინფორმაცია იყო გაჟღერებული, რადგან მოხდა მარტის მოხმარების შედარება დეკემბერთან. მარტსა და აპრილში გაზის მოხმარება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ზამთარში. იმედი მაქვს, რომ აღნიშნული ტელევიზია ამ შეცდომას გამოასწორებს, – განაცხადა კახა კალაძემ.

თელეთის ყველის ქარხანაში 60-ზე მეტი სახეობის ყველის წარმოება მოხდება

უახლოეს დღეებში თელეთში ყველის ახალი ქარხანა დაიწყებს ფუნქციონირებას. როგორც ქარხნის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ყველის სახლის“ დამაარსებელი ანა მიქაძე-ჩიკვაიძე ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აცხადებს, ქარხანაში 60-ზე მეტი სახეობის ყველის წარმოებაა დაგეგმილი.

– რაც წლების მანძილზე საქართველოს მასშტაბით რეცეპტები მიგროვებია, ყველაფრის წარმოებას ვაპირებ. ვგეგმავ იმ ყველის სტანდარტები შევქმნა, რომლებიც სოფლებში ქაოტურადაა გაბნეული. ქარხნისთვის მინა და შენობები თელეთში ჩემმა პარტნიორმა აუქციონით შეიძინა. მოვიპოვე გრანტი, გავაერთიანეთ ჩვენი ძალები და ინვესტორის დახმარებით ყველის ახალი ქარხანა ავაშენეთ. თუმცა აქ არ იქნება მხოლოდ ყველის საწარმო. აქ იქნება ფერმა, წისქვილი, გვექნება საკვების საკუთარი წარმოება და

რაც მთავარია, გავაკეთებთ მეყველეთა სასწავლო სტუდიას, რომელიც პირველ ეტაპზე სავარაუდოდ, უფასო იქნება, – განაცხადა ანა მიქაძე-ჩიკვაიძემ.

ყველის ქარხნის დამფუძნებელი ამბობს, რომ ქარხნის ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის შენობაც აშენდება, სადაც სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული სტუდენტები იცხოვრებენ.

მისივე თქმით, ქარხანაში ყველის სამუზეუმო კუთხეც მოეწყობა. ხანგრძლივ პერსპექტივაში ასევე იგეგმება საოჯახო ძეხვეულის წარმოებაც.

რაც შეეხება ყველის ექსპორტს, ანა მიქაძე-ჩიკვაიძე ამბობს, რომ ყველზე დიდი მოთხოვნა აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან არის, ამიტომ პირველ ეტაპზე ყველის გატანა მეზობელ ქვეყნებში მოხდება. სამომავლოდ კი პროდუქტის ექსპორტზე გატანა ევროპის ბაზარზეც იგეგმება.

ანა მიქაძე-ჩიკვაიძის განცხადებით, პროექტის მთლიანი ღირებულება 1.300.000 ლარია და ქარხანასა და მეურნეობაში ჯამში 100-მდე ადამიანის დასაქმება იგეგმება.

თათია ახვლედიანი, ბიბიენი

17 იანვრიდან გალარების ერთჯერადი პროგრამა დაიწყება

2017 წლის 17 იანვრიდან გალარების ერთჯერადი პროგრამა დაიწყება. ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ფიზიკური პირები, ვისაც 2015 წლის 1 იანვრამდე, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში ჰქონდათ აღებული, მათ კონვერტაციას ეროვნული ვალუტის სესხებად შეძლებენ. ამასთან, აღნიშნულ სესხებზე წინასწარ დაფარვის საკომისიო გაუქმდება. გალარების აქციას ერთობლივად ახორციელებენ საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი.

უწყების ცნობით, სუბსიდირება ეხება საბანკო სესხის ძირითადი თანხის დავალიანებას ან მის ნაწილს (არაუმეტეს 40 ათასი აშშ დოლარისა),

რომლის ნარჩენი ღირებულება არ აღემატება 2015 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ძირითად თანხას. სესხების გალარების ხარჯების შეღავათიანი კურსით სუბსიდირებას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს.

გალარების პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ყველა კომერციული ბანკი მზადაა, ყველა მსურველს, რომელსაც გალარება შეეხება, სათანადო მომსახურება გაუწიოს. მთავრობა არ განახორციელებს სუბსიდიას იმ პირებზე, რომელთა წლიური შემოსავალი 2016 წელს 100,000 ლარზე მეტი იყო, ან 2016 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, სესხის მომსახურე ბანკში მისი სესხის ძირითადი თანხის ჯამური დავალიანება აღემატება 100 000 (ასი ათას) აშშ დოლარს.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს შეღავათიანი კურსით სესხების გალარების ხარჯების სუბსიდირებას.

– გალარება საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ლარიზაციის პროგრამის ერთ-ერთი ეტაპია. ის მიზნად ისახავს, მომხმარებლებს შეუმსუბუქდეს სესხის მომსახურების ტვირთი, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებამ განაპირობა.

ლარიზაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს ეკონომიკის დოლარიზაციას, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, გაატაროს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ლარიზაცია შეამცირებს როგორც მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე, რაც მის სტაბილურობას შეუწყობს ხელს, ასევე ეკონომიკის დამოკიდებულებას გაცვლით კურსზე და უზრუნველყოფს მოსახლეობის განკარგვადი შემოსავლების სტაბილურ ზრდას, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ზოგიერთი დასახელების სიგარეტი 40-50 თეთრით გაძვირდა

სიგარეტი 6 იანვარს კიდევ გაძვირდა. კერძოდ, როგორც თბილისის რამდენიმე ჯიხურში აცხადებენ, ზოგიერთი სიგარეტის ფასმა 6 40-50 თეთრით მოიმატა.

კერძოდ, 50 თეთრით – 3.30 ლარიდან 3.80 ლარამდე გაძვირდა „მარლბორო“; ასევე 50 თეთრით გაძვირდა „პარლამენტიც“, რომლის ფასმაც 4 ლარიდან 4.50-მდე მოიმატა; 50 თეთრით გაძვირდა „ჩესტერი“ და „ელემიც“; სიგარეტი „ბონდის“ ფასმა კი 40 თეთრით მოიმატა.

რამდენიმე დღის წინ 10 თეთრით გაძვირდა „ემმი“, რომლის ფასი 2.50 ლარიდან 2.60 ლარამდე გაიზარდა; 20 თეთრით – 2.50 ლარიდან 2.70 ლარამდე გაძვირდა „გალუაზი“.

სიგარეტზე ფასის მატება ჯერ კიდევ ახალ წლამდე, დეკემბრიდან დაიწყო და მაშინ ფასები 20-30 თეთრით გაიზარდა. 2016 წლის დეკემბრის ბოლოსთვის 20 თეთრით გაძვირდა „კენტი“ და „ვინსტონი“; „მარლბოროსა“ და „პარლამენტის“ ფასმა კი 30 თეთრით მოიმატა.

1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, 1 კოლოფ თამბაქოზე აქციზური გადასახადი 60 თეთრით გაიზარდა.

ექსპერტთა პროგნოზით, აქციზის გაძვირება სიგარეტის ფასის 50-60 თეთრით გაზრდას გამოიწვევს.

მარიამ ლორთქიფანიძე, ბიბიენი

სტარბაქსი თბილისში შემოსვლას განიხილავს

მსოფლიოში ცნობილი ბრენდი სტარბაქსი საქართველოს ბაზრით ინტერესდება. მაი რესტ.გე-ს კითხვაზე, ხომ არ აპირებს სტარბაქსი საქართველოს ბაზარზე შემოსვლას, კომპანიაში ასეთი პასუხი გასცეს:

– პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კომპანიით დაინტერესდით. გიდასტურებთ, რომ თბილისის ტურისტული პოტენციალი საკმაოდ მზარდია. ჩვენი კომპანია აქტიურად ზრუნავს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და გაფართოებაზე.

ვიცით, საქართველოს ბაზარზე შემოსვლა ჩვენი კომპანიისთვის გაყიდვების ზრდისა და მომხმარებლების რაოდენობის კარგი საშუალება იქნება, ამიტომ სტარბაქსში ამ საკითხს შესაბამისი გუნდი განიხილავს. ვფიქრობ, კომპანიის თბილისის ბაზარზე შემოსვლა იდეალური იქნება, – აცხადებენ კომპანიაში.

აშშ-ის სენატში რუსი ჰაკერების საქმის მოსმენები დაიწყო

ტრამპი ცსს-ს რეორგანიზაციას აპირებს

აშშ-ის სენატის შეიარაღებულ ძალთა კომიტეტში რუსი ჰაკერების საქმის გამო მოსმენები დაიწყო. სხდომას კომიტეტის თავმჯდომარე, სენატორი ჯონ მაკეინი ხელმძღვანელობს.

– მოსმენების მიზანია არა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენება, არამედ ამერიკის დაცვა რუსი ჰაკერების შეტევებისგან, – განაცხადა მაკეინმა.

ჟურნალისტებთან საუბარში სენატორმა თქვა, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

– ამერიკელებმა უნდა იცოდნენ, რა საფრთხე ემუქრებათ რუსეთიდან, – თქვა მაკეინმა.

პირველ დღეს კომიტეტის წინაშე წარდგნენ ამერიკის ნაციონალური დაზვერვის უფროსი კლეპერი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლეტრი და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს უფროსი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების კიბეროპერაციების ხელმძღვანელი, ადმირალი როჯერსი.

ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ რუსი ჰაკერების მოქმედებას ადგილი მართლაც ჰქონდა. შეკითხვაზე, რა გავლენა მოახდინა ამან არჩევნებზე, როჯერსმა მიუგო, რომ ამის განსაზღვრა შეუძლებელია. მაკეინის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რუსი ჰაკერების მოქმედება აგრესიად ჩავთვალოთ, კლეპერმა მიუგო:

– ეს პოლიტიკოსებმა უნდა განსაზღვრონ!

სუკის ყოფილმა გენერალმა ოლეგ კალუგინმა, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს, განაცხადა, რომ მოსმენები არჩევნების შედეგების გადასინჯვას არ გამოიწვევს. ტრამპი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად შეუდგება და განსაკუთრებით პირველ ეტაპზე აუცილებლად შეეცდება პუტინთან შეთანხმების მიღწევას. ამავე დროს, ტრამპის თავზე მუდამ იქნება დამოკლეს მახვილი, რომ ეს კაცი პრეზიდენტის სავარძელში რუსების დახმარებით ჩაჯდა.

– ეს ტრამპის მთელ მოღვაწეობაზე უდიდეს გავლენას იქონიებს, – თვლის კალუგინი.

თავად ტრამპს კი ამერიკის დაზვერვის რეორგანიზაცია სურს. მან განაცხადა, რომ სასაცილოა ცსს-ს განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსი ჰაკერები აშშ-ის არჩევნებში ჩაერივნენ და მის შედეგებზე გავლენა მოახდინეს.

ინაუგურაციის შემდეგ ცენტრალურ საგადაზვერვო სამმართველოში საკადრო წმენდა და რეორგანიზაცია იგეგმება. ნავარაუდევია ცენტრალური ოფისის თანამშრომელთა შემცირება და მათი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაოდ გაგზავნა.

აღნიშნულმა გეგმებმა ბევრი შეაშფოთა. ვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა ტრამპს ასე მიმართა:

– რუსული კიბერშეტევების ფაქტი უკვე უდავოა! თქვენთვის ამ ფაქტის უარყოფა საზიანოა! აშშ-ის ახლადარჩეულ პრეზიდენტს ვურჩევ, რომ, როგორც პოლიტიკოსი, მალე ჩამოყალიბდეს და სპეცსამსახურების უფროსების მოხსენებებს ყურადღებით მოუსმინოს, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა კი განაცხადა, რომ მსოფლიოში დაძაბულობის ახალი ესკალაცია და ტერორიზმის გააქტიურება გარდაუვალია.

– ესკალაცია უკრაინაში, რისკენაც რუსეთი მიისწრაფვის, ევროპას საფრთხეს უქმნის. ამიტომ აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა კურსი ნატოს გაძლიერებისკენ უნდა აიღოს, – განაცხადა კარტერმა.

ვიქტორ სუვოროვი: „პუტინი სულელია“

ცნობილმა მწერალმა და გრუ-ს ყოფილმა ოფიცერმა ვიქტორ სუვოროვმა განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკის არჩევნებში მართლაც ჩაერია. მეტიც, კრემლმა დიდი და საშიში თამაში წამოიწყო. დაგეგმილია ევროპაში ე.წ. რუსული ბლოკის შექმნა და ევროპის გახლეჩა. უამრავი ფულია გამოყოფილი საიმისოდ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი მარინ ლე პენი გახდეს, ჰოლანდიაში, ესპანეთში, ირლანდიასა თუ სხვაგან კი ევროსკეპტიკოსებმა გაიმარჯვონ.

– პუტინს სურს, აიძულოს დასავლეთი, რომ ახალ მსოფლიო წესრიგს დათანხმდეს. თავის დროზე იალტის კონფერენციამ განსაზღვრა მსოფლიო წესრიგი, რომელიც 1945 წლის შემდეგ დამკვიდრდა. დღეს პუტინის მიზანია იალტა 2-ის მოწვევა, – აცხადებს სუვოროვი.

გრუ-ს ყოფილი ოფიცრის აზრით, ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს, დნესტრისპირეთი კი ე.წ. ნოვოროსიას უნდა შეუერთდეს და რუსეთის ნაწილი გახდეს. რაც შეეხება უკრაინას, ნავარაუდევია ორი უკრაინული სახელმწიფოს შექმნა. პირველი, ცენტრით ხარკოვში, ორიენტაციას რუსეთზე აიღებს, მეორე, ცენტრით ლვოვში – დასავლეთზე.

– პუტინი სულელია! მას არ ესმის, რომ რუსეთს საამისო რესურსები არ გააჩნია და მისი წამოწყება მარცხისთვისაა განწირული! პუტინს ქვეყანა კატასტროფისკენ მიჰყავს, – ამბობს სუვოროვი.

ისრაელის პოლიციამ პრემიერი ნეტანიაჰუ კვლავ დაკითხა

ისრაელის პოლიციამ კვლავ დაკითხა პრემიერი ნეტანიაჰუ, რომელსაც ბრალად კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედება.

ისრაელის მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ნეტანიაჰუს დანაშაული მხოლოდ კორუფციით არ ამოიწურება, თუმცა ჯერჯერობით ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, კიდევ რა ჩაიდინა ნეტანიაჰუმ.

თავად პრემიერი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

– მე ცილისწამების მსხვერპლი ვარ, – აცხადებს პრემიერი.

ტერაქტი სირიაში

სირიის ქალაქ ჯაბლაში ტერაქტი მოხდა. აფეთქდა დინამიტით დატვირთული ავტომანქანა. შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა.

ჯაბლას ასადის არმია აკონტროლებს.

დიქტატორმა ასადმა მომხდარი ბრალად ოპოზიციას დასდო:

– მათ მშვიდობა არ სურთ, – ამბობს ასადი.

აშშ-მ ბინ ლადენის შვილი ტერორისტად გამოაცხადა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორისტად გამოაცხადა განსვენებული ოსამა ბინ ლადენის ვაჟი, ჰამზა ბინ ლადენი. ჰამზა ბინ ლადენმა ინტერნეტში გაავრცელა მიმართვა, რომელშიც დასავლეთის ქვეყნებზე, უწინარეს ყოვლისა კი აშშ-ზე, ტერაქტებისკენ მოუწოდებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

კალეიდოსკოპი

კნუტმა პატრონს საშობაო სიურპრიზი ჩაუშალა

ლოს-ანჯელესში კნუტი მანამდე ამოხტა შეუმჩნევლად სასაჩუქრე კოლოფიდან, სანამ ოთხი წლის გოგონა, მას დაინახავდა. საჩუქრის გადაცემის ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული და სამ დღეში მან 1,9 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

– ცხოვრებაში ზოგჯერ არასრულყოფილი მომენტები გაცილებით იდეალური გამოდის, ვიდრე თავად გვქონდა ჩაფიქრებული, – ნათქვამია ვიდეოკლიპისთვის გოგონას დედის ჰიზერ ბრუკერის მიერ თანდართულ კომენტარში.

ტაილანდში უნიტაზიდან გველი ამოიყვანეს

ტაილანდის ქალაქ ჯხონკენის მცხოვრებმა საკუთარი ბინის უნიტაზში საკმაოდ მოზრდილი გველი აღმოაჩინა. იუთუბიში გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ამოჰყავთ მაშველებს უნიტაზიდან რეპტილია.

ერთ-ერთმა მაშველმა გრძელ ჯოხზე მიმაგრებული მარყუჟი გველს კისერზე წამოაცვა და საკანალიზაციო მილიდან ამოათრია. მის თანაშემწეს რეპტილია კუდით ეჭირა, რათა მას მარყუჟიდან თავის გათავისუფლების შემთხვევაში გაქცევა ვერ მოეხერხებინა.

მაშველების მიერ დაჭერილი გველი მახრჩობელათა სახეობას განეკუთვნება, რომლებიც ტაილანდში ბინადრობენ. ისინი ზოგჯერ თავს ესხმიან ადამიანს, თუმცა მათი ნაკბენი საშიში არ არის, ვინაიდან შხამიანები არ არიან. ერთ-ერთი ადგილობრივი საგენტოს ცნობით, მაშველებმა გველი დასახლებული პუნქტიდან მოშორებით წაიყვანეს და გაუშვეს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

ესპანეთმა და იტალიამ ჩემპიონატები განაახლეს

სტატისტიკა, ფსონები

ახალი წელი საფეხბურთო სეზონით ინგლისელებმა გახსნეს, მაგრამ ამ უქმეებზე ისვენებენ. სამაგიეროდ, საქმეში ესპანელები და იტალიელები ჩაერთვნენ. ისეთი მატჩი, რომ მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიიპყროს, არ არის, მაგრამ რამდენიმე საინტერესო მატჩია, რომელთაგან ვილიარეალი-ბარსელონის გამოყოფა შეიძლება.

ესპანეთი

07.01 რეალი-გრანადა	1.05	13.0	29.0
07.01 ეიბარი-ატლეტიკო	6.0	3.75	1.6
07.01 სელტა-მალაგა	1.83	3.6	4.2
07.01 ლას პალმასი-ხიხონი	1.73	3.6	5.0
07.01 სოსიედადი-სევილია	2.37	3.3	3.1
08.01 ბილბაო-ალავესი	1.57	3.6	7.0
08.01 ბეტისი-ლეგანესი	2.05	3.25	4.0
08.01 ვილიარეალი-ბარსელონა	6.0	4.4	1.5
09.01 ოსასუნა-ვალენსია	3.8	3.5	1.95

ხეალი-გრანადა

რეალი: ***ტრავმ***არავინ

გრანადა: ***ტრავმ***გასტონ სილვა, ლუის მარტინსი, რენე კრინი

ეიბარი-ატლეტიკო

ეიბარი: ***ტრავმ***ფრან რიკო, ასიერ რიესგო, ივან რამისი

ატლეტიკო: ***ტრავმ***ტიაგო, იან ობლაკი, ფელიპე ლუისი, აუგუსტო ფერნანდესი, ალესიო ჩერჩი

სელტა-მალაგა

სელტა: ***ტრავმ***ფაბიან ორელანა, კარლეს პლანასი

მალაგა: ***ტრავმ***ლუის მუნიოსი, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ჩარლესი, კეკო გონტანი, ველინგტონი

ლას პალმასი-ხიხონი

ლას პალმასი: ***ტრავმ***სერხიო არაუჟო, აიტამი არტილესი, კევინ-პრინს ბოატენგი

ხიხონი: ***ტრავმ***ალბერტო ლორა, ლილო, კარლოს კასტრო, დანიელ ნდი

სოსიედადი-სევილია

სოსიედადი: ***ტრავმ***ვილიამ ხოსე, მარკელ ბერგარა

სევილია: ***ტრავმ***დანიელ კარიკო, სერხიო ესკუდერო, კარლოს ფერნანდესი, მაიკლ კრონ-დელი, ბენუა ტრემულანისი

ბილბაო-ალავესი

ბილბაო: ***ტრავმ***ოსკარ დე მარკოსი

ალავესი: ***ტრავმ***არავინ

ბეტისი-ლეგანესი

ბეტისი: ***ტრავმ***ჩარლი მუსონდა

ლეგანესი: ***ტრავმ***ჯონ ანდერ სერანტესი, ალექსანდერ შიმანოვსკი, დიეგო რიკო, რობერტ იბანესი, კონე

ვილიარეალი-ბარსელონა

ვილიარეალი: ***ტრავმ***სედრიკ ბაკამბუ, ანტონიო რუკავინა, სამუ, სენის ჩერიშევი, რობერტო სოლდადო

ბარსელონა: ***ტრავმ***არავინ

ოსასუნა-ვალენსია

ოსასუნა: ***ტრავმ***მიგელ ფლანო, იმანოლ გარსია, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

ვალენსია: ***ტრავმ***არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	15	11	4	0	40-14	37
2.ბარსელონა	16	10	4	2	41-16	34
3.სევილია	16	10	3	3	32-21	33
4.ვილიარეალი	16	8	5	3	25-11	29
5.სოსიედადი	16	9	2	5	28-21	29
6.ატლეტიკო	16	8	4	4	29-14	28
7.ბილბაო	16	8	2	6	22-19	26
8.ეიბარი	16	6	5	5	22-20	23
9.ესპანიოლი	16	5	7	4	20-22	22
10.ლას პალმასი	16	5	6	5	26-24	21
11.მალაგა	16	5	6	5	25-26	21
12.ალავესი	16	5	6	5	15-17	21
13.სელტა	16	6	3	7	25-31	21
14.ბეტისი	16	5	3	8	18-29	18
15.დეპორტივო	16	4	4	8	22-27	16
16.ლეგანესი	16	4	4	8	13-27	16
17.ვალენსია	15	3	3	9	21-29	12
18.ხიხონი	16	3	3	10	17-33	12
19.გრანადა	16	1	6	9	14-33	9
20.ოსასუნა	16	1	4	11	13-34	7

იტალია

07.01 ემპოლი-პალერმო	2.0	3.3	4.2
07.01 ნაპოლი-სამპდორია	1.28	6.0	11.0
08.01 უდინეზე-ინტერი	3.8	3.6	2.0
08.01 ჯენოა-რომა	4.2	3.6	1.91
08.01 პესკარა-ფიორენტინა	4.2	3.6	1.91
08.01 სასუოლო-ტორინო	2.7	3.5	2.6
08.01 კიევო-ატალანტა	2.75	3.1	2.8
08.01 ლაციო-კროტონე	1.3	6.0	10.0
08.01 მილანი-კალიარი	1.4	4.8	7.5
08.01 იუვენტუსი-ბოლონია	1.17	7.5	17.0

ემპოლი-პალერმო

ემპოლი: ***ტრავმ***მანუელ პასკუალი, ვინსენტ ლორინი, მარკო ძამბელი, ფრედერიკ ვესელი

პალერმო: ***ტრავმ***სლობოდან რაიკოვიჩი

ნაპოლი-სამპდორია

ნაპოლი: ***ტრავმ***კალიდუ კულიბალი, არკადიუშ მილიკი

სამპდორია: ***ტრავმ***ემილიანო ვივიანო

უდინეზე-ინტერი

უდინეზე: ***ტრავმ***ადალბერტო პენარანდა

ინტერი: ***ტრავმ***გარი მედელი

ჯენოა-რომა

ჯენოა: ***ტრავმ***მიგელ ველოსო, ლეონარდო პავოლეტი

რომა: ***ტრავმ***კოსტას მანოლასი, ალესანდრო ფლორენცი

პესკარა-ფიორენტინა

პესკარა: ***ტრავმ***სიმონე პეპე, ალექსანდრუ მიტრიტა

ფიორენტინა: ***ტრავმ***არავინ

სასუოლო-ტორინო

სასუოლო: ***ტრავმ***პაოლო კანავარო, მარსელო გაზოლა, ფრანჩესკო მაგანელი, მატეო პოლიტანო, ალფრედ დანკანი, დომენიკო ბერარდი

ტორინო: ***ტრავმ***კრისტიან მოლინარო

კიევო-ატალანტა

კიევო: ***ტრავმ***მასიმო გობი

ატალანტა: ***ტრავმ***მაურისიო პინილია, ალბერტო პალოსკი, ეტრიტ ბერიშა

ლაციო-კროტონე

ლაციო: ***ტრავმ***ჯორდან ლუკაკუ

კროტონე: ***ტრავმ***ალექს კორდაზი, ალექსანდერ ტონევი, კლეიტონ მაჩადო

მილანი-კალიარი

მილანი: ***ტრავმ***მატიას ფერნანდესი, დავიდე კალაბრია, რიკარდო მონტოლივო

კალიარი: ***ტრავმ***ფედერიკო მელჩიორი, არტურ იონიტა

იუვენტუსი-ბოლონია

იუვენტუსი: ***ტრავმ***შტეფან ლიხშტეინერი, მირალემ პიანიჩი, ლეონარდო ბონუჩი

ბოლონია: ***ტრავმ***დომენიკო მაიეტა, სადიქ უმარი, ლუკა რიცო, ფილიპ ჰელადერი, სიმონე ვერდი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	17	14	0	3	36-14	42
2.რომა	18	12	2	4	39-18	38
3.ნაპოლი	18	10	5	3	40-21	35
4.ლაციო	18	10	4	4	32-21	34
5.მილანი	17	10	3	4	27-20	33
6.ატალანტა	18	10	2	6	27-21	32
7.ინტერი	18	9	3	6	28-21	30
8.ტორინო	18	8	4	6	36-27	28
9.ფიორენტინა	18	7	6	5	28-24	27
10.უდინეზე	18	7	4	7	24-24	25
11.კიევო	18	7	4	7	19-20	25
12.ჯენოა	18	6	5	7	21-22	23
13.სამპდორია	18	6	5	7	21-24	23
14.კალიარი	18	7	2	9	27-42	23
15.ბოლონია	17	5	5	7	17-22	20
16.სასუოლო	18	5	2	11	24-33	17
17.ემპოლი	18	3	5	10	10-26	14
18.პალერმო	18	2	4	12	16-35	10
19.კროტონე	17	2	3	12	14-32	9
20.პესკარა	18	1	6	11	14-33	9

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბას“ წევრები დაბადების დღეს ულოცავენ ქალბატონ

ცისანა ღვინეფაძეს

და უსურვებენ მას ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს, მრავალ სიხარულს მის შვილებთან და მეგობრებთან ერთად.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ქალეიდოსკოპი

ემირატების მოქალაქეებს სახლში გარეული ცხოველების ყოლა აეკრძალათ

არაბეთის გაერთიანებული ემირატების ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გაამკაცრა ცხოველების შენახვის წესები და თავის ქვეშევრდომებს სახლში გარეული ცხოველების ყოლა აუკრძალა.

ამიერიდან ლეოპარდების, გეპარდებისა და სხვა ეგზოტიკური ცხოველების ნახვა მხოლოდ ზოოპარკებსა და სამეცნიერო ცენტრებში იქნება შესაძლებელი, ხოლო თუ ასეთ ცხოველს ჩვეულებრივ მოქალაქეს აღმოუჩენენ, მას 136.000-დოლარიანი ჯარიმა ელოდება. ასევე ცხოველების სხვა ადამიანებზე მიქსევაც დასჯადი იქნება და ის სამიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო თუ შინაური ცხოველის თავდასხმის შედეგად ადამიანი დაიღუპება, ცხოველის პატრონს სამუდამო პატიმრობა დაემუქრება.

ახალი კანონი ასევე ცვლის ჩვეულებრივი შინაური ცხოველების, მაგალითად, ძაღლის ყოლის პირობებს. ხელისუფლების მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, ყოველი ძაღლის ყოლაზე საჭირო იქნება განსაკუთრებული უფლების მიღება. ამასთან, საზოგადოებრივ ადგილას ცხოველის გასეირნების დროს პატრონს ის ყოველთვის საბელით უნდა ეკავოს.

მიუხედავად იმისა, რომ, რელიგიური კანონების თანახმად, მუსლიმანებს ძაღლების ყოლა არ ეკრძალებათ, ზოგიერთი ღვთისმეტყველის თქმით, ეს ცხოველი უწმინდურად ითვლება, რის გამოც ისლამურ სამყაროში ეს ცხოველი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს.

იაპონიაში 212-კილოგრამიანი თევზი გაიყიდა

იაპონიაში ახალი წლის შემდეგ გამართულ პირველ ვაჭრობაზე მსხვილ თანხად გაიყიდა წყნარი ოკეანის გიგანტური ცისფერი სკუმბრია.

თევზი, რომლის წონა 212 კილოგრამს შეადგენდა, იაპონიის აომორის პრეფექტურის სანაპიროსთან იქნა დაჭერილი და ის ცუკიძის აუქციონზე 74,2 მილიონ იენად (640 ათასი დოლარი) გაიყიდა. ამჯერად XXI საუკუნის რეკორდის მოხსნა ვერ მოხერხდა. ყველაზე ძვირადღირებულ ლოტად დღემდე რჩება თევზი, რომელიც 2013 წლის ვაჭრობაზე 155 მილიონ იენად (1,3 მილიონი დოლარი) გაიყიდა.

აღსანიშნავია, რომ ცუკიძი, რომელიც ტოკიოს ცენტრში მდებარეობს, იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ ტურისტულ ღირსშესანიშნაობას და მსოფლიოში ყველაზე მსხვილ თევზის ბაზარს წარმოადგენს. ყოველდღე აქ 2 ათას ტონაზე მეტი თევზი იყიდება.

სპანიელი საკუთარმა ხვრინვამ გააკვირვა



მხვრინავი კავალიერ კინგ ჩარლზ სპანიელის ჯიშის ძაღლის ვიდეორგოლი იქნა განთავსებული იუთუბიზე და მან უკვე 1,8 მილიონი ნახვა მოაგროვა. ვიდეორგოლში ახალგაზრდა მამაკაცს თავის მძინარე ცხოველთან მიაქვს ტელეფონი, რომელზეც ძაღლისავე ხვრინვაა ჩაწერილი და ჩანაწერს რთავს. ძაღლი იღვიძებს და გაკვირვებული უყურებს პატრონს. ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარში ნათქვამია: „როგორ მოვიქცეთ ისე, რომ ვიღაცამ აღარ იხვრინოს“.

სპორტული მაგნატი მონტანაში რანჩოს ყიდის

ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში გარიგებების სპეციალისტი, ინვესტორი ბილ ფოლი მონტანაში რანჩოს 26,7 მილიონ დოლარად ყიდის.

მამულის საერთო ფართობი 21 აკრს (დაახლოებით 8,5 ჰექტარი) წარმოადგენს. რანჩო ქალაქ უაიტფიშში, კანადის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს.

ტერიტორიაზე განთავსებულია სახლი, რომლის ფართობი ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, ასევე – სამი სახლი სტუმრებისთვის. ძირითადი შენობა 2006 წელს იქნა აშენებული. ფოლიმ და მისმა მეუღლემ რანჩო მიწის დამატებით ნაკვეთთან ერთად 2005 წელს 26,6 მილიონ დოლარად შეიძინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რა უნდა გავაკეთოთ ზედმეტი კილოგრამების თავიდან ასაცილებლად

ეკა ირემაშვილი



ჭარბი წონა XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მკაცრი დიეტები, ვარჯიში და უკიდურეს შემთხვევაში შიმშილი დავიწყებას ეძლევა სადღესასწაულო დღეებში.

იანვარი კი სადღესასწაულო დღეებით და სუფრებით გადატვირთულია – ახალი წელი, შობა, ძველით ახალი წელი, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული...

მსგავსი დღესასწაულები ყოველთვის დადებით ემოციებს უკავშირდება და ადამიანებს ხშირად გვავიწყდება ისეთი საკითხები, რაზედაც ყოველდღიურად ვზრუნავთ, მაგალითად, საჭმლის ზომიერად მირთმევა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სხვა.

მათ, ვისაც არ სურს სადღესასწაულო სუფრის სიუხვე საკუთარ წონაზე აისახოს, თანაც განსაკუთრებით მათ, ვისაც ამისკენ აქვს მიდრეკილება, უმჯობესია დიეტოლოგების რჩევები გაითვალისწინოს.

ზედმეტი კილოგრამების თავიდან ასაცილებლად, ჩვენს მკითხველს პრაქტიკულ რჩევებს კლინიკა „კანის“ დიეტოლოგი ნატალია გოგავა აძლევს.

ნატალია გოგავა:

– სადღესასწაულო სუფრაზე უმჯობესია ძირითადი აქცენტი გავაკეთოთ ცილოვან კერძებზე, მაგალითად, როგორიცაა: თევზი, ფრინველის ხორცი (კანგაცლილი) და ბოსტნეული, კარტოფილის გარდა.

– რამდენად რეკომენდებულია პურისა და ხაჭაპურის მირთმევა?

– კერძები შეეცადეთ მიირთვათ პურისა და ხაჭაპურის გარეშე, ხოლო თუ მაინც უარს ვერ ამბობთ ცომეულსა და ტკბილეულზე, ნუ ჩაიგდებთ თავს სტრესში და მიირთვით თქვენთვის სანატრელი დესერტი მცირე დოზით მხოლოდ დღის პირველ ნახევარში.

– რა გავლენას ახდენს ორგანიზმზე ალკოჰოლი?

– ნუ მიირთმევთ ალკოჰოლს ჭამის დაწყებისას, რადგან გარდა იმისა რომ ალკოჰოლი ძალიან კალორიულია, ამასთან ერთად ვკარგავთ კონტროლს იმაზე, თუ რას და რა რაოდენობით მივირთმევთ.

– რომელ ალკოჰოლს მივანიჭოთ უპირატესობა?

– ალკოჰოლიდან უმჯობესია უპირატესობა მიანიჭოთ მსუბუქ ღვინოს და არა ლიქიორს, არაყს ან კონიაკს.

– სადღესასწაულო სუფრები შამპანურის გარეშე წარმოუდგენელია...

– გახსოვდეთ, საშუალოდ 1 ჭიქა შამპანური უდრის 20 წუთი სირბილს, თუმცა ჩვენ მოგიწოდებთ, რომ არ დაისტრესოთ თავი.

– როდის მივირთვათ ხილი?

– ნუ მიირთმევთ ხილს ძირითადი კერძების შემდეგ, უმჯობესია, ხილი სხვა საკვებთან ერთად არ მივირთვათ.

– რა მნიშვნელობა აქვს ძილს წონის კონტროლისას?

– ძილი მნიშვნელოვანია. არასაკმარისი ძილი გვიბიძგებს მეტად კალორიული და ნაკლებად სასარგებლო პროდუქტების მირთმევისკენ.

– როგორც წესი, საახალწლო დღეების შემდეგ წონის მატება ყველას აწუხებს...

– სადღესასწაულო კერძების დაგემოვნების შემდეგ ორგანიზმი ღრუბელივით იწყებს ზედმეტი კალორიების შეწოვას. თუ კი სასურველი სამოსი ვერ მოირგეთ და გსურთ ზედმეტ კილოგრამებს მკაცრი შიმშილით ებრძოლოთ, გახსოვდეთ, ეს არასწორია.

10 კილოგრამი 3 დღეში – ტყუილია. ჩემი მიდგომა თითოეული ადამიანის მიმართ არის ინდივიდუალური. საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი, რომ დიეტა გულისხმობს შიმშილს, არასწორია. შიმშილი კლების ილუზიაა, თვითნებურად დანიშნული დიეტა იწვევს სტრესს, თმის ცვენას, ჰორმონალურ და ბევრ სხვა დარღვევებს ორგანიზმში.

ჩემ მიერ გაცემული რეკომენდაციები ზოგადია და გათვალისწინების შემთხვევაში აუცილებლად დადებით შედეგს მიიღებთ და, როგორც წესი, არ მოიმატებთ.

თუმცა წონაში დაკლების მსურველთათვის აუცილებელია დიეტოლოგთან ვიზიტი და ინდივიდუალური დიეტის შერჩევა.

– და ბოლოს, რა რჩევებს მისცემდით სადღესასწაულო დღეებში ჩვენს მკითხველს?

– დახარჯეთ ენერგია, იცეკვეთ, იმოძრავეთ, შეიგრძენით დღესასწაული! გახსოვდეთ, ნორმების და ზომების დაცვით შესაძლებელია სასიამოვნო შეერწყას სასარგებლოს!

„დინასტიური ნეპოტიზმი“ ახმეტის გამგეობაში — ცოლისძმა სიძის ადგილზე

ახმეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა თავისი მეგობარი და ცოლის ბიძაშვილი გიორგი ლაგაზაური, რომელიც მისი პირადი მძღოლი იყო, ჯერ გამგებლის თანაშემწედ გადაიყვანა, შემდეგ კი – გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად.

მას შემდეგ, რაც გიორგი ლაგაზაურმა სამსახური დატოვა და ისრაელში წავიდა სამუშაოდ, გამგებელმა ამ თანამდებობაზე ლაგაზაურის ცოლისძმა – კახა კორაშვილი დანიშნა.

ბექა ბაიდაური ახმეტის საკრებულომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად 2012 წლის 19 ნოემბერს დანიშნა. თანამდებობის დაკავებიდან მალევე მან თავის პირად მძღოლად მეუღლის ბიძაშვილი გიორგი ლაგაზაური დაასაქმა, რომელიც გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში გააფორმა დამხმარე მოსამსახურედ, ხოლო გასამრჯელოდ კი წამყვანი სპეციალისტის ხელფასი – 500 ლარი დაუნიშნა.

რამდენიმე თვის შემდეგ გამგებელმა გიორგი ლაგაზაური თანაშემწის შტატზე გადაიყვანა და, შესაბამისად, ხელფასიც 790 ლარამდე გაუზარდა, ხოლო მძღოლად საკუთარი ცოლისძმა – შმაგი ლაგაზაური დანიშნა. მაშინ გიორგი ლაგაზაურმა ტესტირების ეტაპი მხოლოდ მე-4 ცდაზე გადალახა. ამის გამო ახმეტის გამგეობაში კონკურსის მომდევნო ეტაპი (გასაუბრება) არ ტარდებოდა. გასაუბრება მხოლოდ იმის შემდეგ დაინიშნა, როცა გიორგი ლაგაზაურმა ტესტირების გავლა მოახერხა, ამან კი საბოლოოდ კონკურსის ჩატარებისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევა გამოიწვია.

2015 წელს, გამგებლის გადაწყვეტილებით, გიორგი ლაგაზაური ადმინისტრაციულ სამსახურში ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე დაინიშნა. მან ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობა დაიკავა, სადაც ხელფასი თვეში 810 ლარს შეადგენს.

2016 წლის შემოდგომაზე გიორგი ლაგაზაურმა სამსახური საკუთარი ნებით დატოვა და სამუშაოდ ისრაელში წავიდა. ახმეტის გამგებელმა კი საკადრო გადაწყვეტილება ე.წ. „დინასტიური ნეპოტიზმის“ პრინციპით მიიღო და იმავე პოზიციაზე მოვალეობის შემსრულებლად გიორგი ლაგაზაურის ცოლისძმა, კახა კორაშვილი დანიშნა, რომელიც მანამდე დაცვის პოლიციაში რიგითი თანამშრომელი იყო.

2016 წლის დეკემბრის ბოლოს ახმეტის გამგეობამ აღნიშნულ ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა, რომელიც სამ ეტაპად უნდა ჩატარდეს (განცხადებების გადარჩევა, ტესტირება და გასაუბრება). კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღების ვადა 31 დეკემბერს ამოიწურა.

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა მოიპოვა ინფორმაცია, რომ კონკურსი ტრადიციულად ფორმალურ ხასიათს ატარებს და აღნიშნულ პოზიციაზე აუცილებლად კახა კორაშვილი დაინიშნება, რადგან ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და უშუალოდ გამგებლის პრეროგატივაა.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია კი მთლიანად გამგებლის პირადი ნდობით აღჭურვილი პირებით არის დაკომპლექტებული და მას ბექა ბაიდაურის მოადგილე დავით ფოცხვერიშვილი ხელმძღვანელობს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ახმეტის გამგებლისგან, არაერთი მცდელობის მიუხედავად, განმარტება ვერ მიიღო.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

კალეიდოსკოპი

ბუკინჰემის სასახლის მცველმა კინაღამ დედოფალს ესროლა

ბუკინჰემის სასახლის ერთ-ერთმა მცველმა ღამის გასეირნების დროს კინაღამ დედოფალ ელისაბედ II-ს ესროლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, დედოფალს უძილობა აწუხებს და გვიან ღამით ხშირად სეირნობს სასახლის გარშემო. ერთხელაც მცველმა შენობის კედელთან შავი ფიგურა შენიშნა. მან იფიქრა, რომ ის ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრილი ადამიანი იყო და ხმამაღლა დაუყვირა: „აქ ვინ არის?“

როდესაც გაირკვა, რომ ეს ადამიანი ელისაბედ II იყო, აღელვებულმა მცველმა უთხრა: „ეშმაკმა დალახვროს, თქვენო უდიდებულესობავ, კინაღამ გესროლეთ“.

მიხვდა რა, რომ ასეთი ტონით საუბარი მის უდიდებულესობასთან შეუფერებელი საქციელი იყო, მცველი, მინიმუმ, საყვედურს ელოდა, მაგრამ დედოფალმა მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად საკუთარ თავზე აიღო.

– ყველაფერი რიგზეა, შემდეგში წინასწარ დავრეკავ და გაგაფრთხილებთ, რომ ჩემთვის სროლა არ მოგიხდეთ, – უპასუხა დედოფალმა.

ზუსტად როდის მოხდა აღნიშნული ინციდენტი, უცნობია, თუმცა, ის კი ცნობილია, რომ ამ მომენტისთვის მამაკაცი მცველად აღარ მსახურობს.

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ოთხშაბათი 9 იანვარი

07.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი"

08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამზე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამზე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"კედრის ყურე"** **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** დოკ/ფ "უჩვეულო ნაძვის ხეები" **15.00, 01.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 02.00** "რეალური სივრცე" **20.30** ქართ. მხ/ფ **"რაჰპარდი"** **21.30** ფიფას ეგიდით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიალი (ვ/ცოურიხიდან) **23.00** მხ/ფ **"შეყვარებული შეძსპარი"** (ჯ.ფაინსი) **03.00** "პირადი ექიმი"

